# სახალხო გაზეთი

№ 1029 სამშაბათი, 29 ოქტომბერი 1913 წ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთის"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



## საპაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „რექტიფიკატ" (დ. ზ. სარაჯიშვილის ფირმით მოვაჭრე)

ურჩევს იყიდონ ახლად გამოსული არაყი სახელით: „რექტიფიკატ", რომელიც დამზადებულია პურის გაწმენდილ სპირტისაგან, საუკეთესო ღირსებისაა და საგანგებოდ გაწმენდილია. ეს არაყი იყიდება ყველგან. 1522

### სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ოქტომბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 2 მ. 25 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.


მღვდელი დავით და მეუღლე მისი მაკრინე და შვილები მათი მღვდ. კონსტანტინე, ნიკოლოზი და სამსონ ანთაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ პირველი უძვირფასესი შვილისა; ხოლო უკანასკნელნი — საყვარელი ძმისა

**ვალოდია (ვლადიმერ) დავითის ძის ანთაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ოქტომბრის 27-ს, ს. ვარძიას (შორაპნის მაზრა), ეკლესიის გალავანში. 1559


ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 16—6.

ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ

### ვასო აბაშიძის საბენეფისოდ

წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე:

უპრეტენზიო კომედია ანუ მოსაქმე ბიუროკრატნი

კომედია 3 მოქ. თხზ. ვ. შალიკაშვილისა.

### მეჯლისი იტალიელებთან,

ოპერეტკა 1 მოქ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

მუსიკა ოფენბახისა. მონაწილეობას იღებს აგრეთვე ახალი კლუბის ორკესტრი პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

მონაწილ. იღებენ ქ-ნნი: აბაშიძისა, ასაიანისა, დავითაშვილი, თოიძისა, მდივანი, პიერეტა, სადარაძე, შოთაძისა, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილისა. ბ-ნნი: აბაშიძე, გომელაური, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, იმედაშვილი, მესხი, სერაფული, საფაროვი, ციციშვილი, ურუშაძე, ხონელი, შალიკაშვილი.

დასაწყ. სწორედ დილის 12 ს. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. ადმინისტ. ქართ. დრამატ. საზოგად. 1533.

### ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, ქართულ სახ. წარმდგ. მმართ. წრის მიერ, მსახიობის ქ. ტასო აბაშიძის ასულის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება კომედია

### პედაგოგები,

2) ჭკუისა მჭირს, კომედ. 1 მოქმედ. ა. ცაგარლისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: ტ. აბაშიძის ასული, თ. ნარაკიძისა, მ. რომანიშვილისა და ელ. ციმაკურიძის ასული; ბ-ნნი: ანაშვილი, ნ. გოცირიძე, მეტრეველი, ნინიძე, ს. რომანიშვილი, სილაგაძე, ს. ტარუაშვილი, ალ. წუწუნავა, ნ. ჭანკვეტაძე, ჭიაურელი.

ადგილების ფასი 5—50 კ. ✦ დასაწყ. საღ. 8 ს.

რეჟისორი ალ. წუწუნავა. თანაშ. ჭანკვეტაძე. „წრის" ადმინისტ.

ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია. 1486

პირველ-ხარისხოვანი



### დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან, ნ. კუნდუროვის ადგილზე

დღეს, 29 ოქტომბერს, 1913 წ. გაიმართება

### დიდი წარმოდგენა

დღისით ფასი 5 კ.-დან ლოჟები 2 მან. დასაწყისი 2 საათზე.

მე-7 დღე გამოჩენილ ფალავანთა ფრანგულ ჭიდაობისა. ეს ჭიდაობა მოწყობილია პეტერბურგის „ვესტნიკ სპორტის" რედაქციისაგან და მოხდება თვით რედაქტორის ნ. ი. მეტრევის ხელმძღვანელობით. დღეს ჭიდაობენ: ზალევსკი და სოკოლი, იომაგალა მუხანური და ახალი მოჭიდავე თომა საერი, ბონარდი და სეპნიკი, და გამოჩენილი მოჭიდავე სომეხი ერევნის ჩემპიონი ვანო ბარდანოვი (იგივე დადაშვილი) და ვეიმანი.

ხვალ იჭიდავებენ: კაპიევი და პოლტინი, უკანასკნელი უვადო ჭიდაობა, ზალესკი და მუხანურა, ჩემბერს ციპსი და სალისულეიმანი, ბონარი და სოკოლი. დასაწყ. საღამ. 8 ს.

758 დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.

### ქ-ნი პორტუგალოვისა

აცხადებს, რომ

**საფეხრიკო მაღაზიაში,** რომელიც ნიკოლოზის ხიდთან № 23—24 არის, ზამთრის საქონლის გაახლოვებისა გამო დანიშნულია

### დიდი ვაჭრობა

მამაკაცთა, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსისა.

30 პროც. დააკლდება ფაბრიკის ფასს.

ვიმედოვნებ, ვინც ჩვენს მაღაზიაში იყიდის, კმაყოფილი დარჩება. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ მაღაზიას ყოველ კვირა მოსდის ახალ-ახალი საქონელი რომელიც ძვირად არ იყიდება.

1491 პატივისცემით ქ-ნი პორტუგალოვისა.

## ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საგანგებო გამოცემა

ამით აცხადებს, რომ წიგნი გამოვიდა და მისი მიღება შეიძლება გამომცემლობის ბინაზე (ყორღანოვის ქუჩა, № 20, სახლი მიხ. გედევანიშვილისა). ყოველ დღე, დილით 9—11 საათ. და საღამოთი 5—7 საათამდე. 1554

## აგენტმა ივანე გრიგოლის ძემ ხალათიანმა

ავადმყოფობის შემდეგ განაახლა განცხადებებისა და ხელის-მოწერის მიღება ადგილობრივისა და ქალაქ გარეთულ გამოცემებისთვის. წინანდელივით ეხლაც სინდისიერად და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. მიხეილის პრ. № 119, სახლი ფორიერისა. ტელეფონი 697. 1493

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

წოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი ვ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი გ. ვ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1 ს.<br>ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირალოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ სნეულებ. და ელექ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1<br>ფონდოვი ვ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½.<br>ორუმბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი ვ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1466

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

## სამკურნალო საწოლი ოთახებით მიხეილ გედევანიშვილისა 1468

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა **გ. მეჰრაბიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—ქლექი— და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვასხივური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. საწყალებს უფასოდ.

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი** ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ნაცნობთა და მის ნახვის მსურველთა საყურადღებოდ

## მაჰმად-ასან-ოღლი

ამით აცხადებს, რომ ამ თვის 23 ს იგი საქმეებისა გამო **გაემგზავრა ხორასანში,** სადაც 40 დღეს დარჩება. 48

## საგულისხმო!

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ხ. გაშაკაძე. ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ოსხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606"-ით** 1462

## სამკურნალო სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**აბულაძიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ბელანჟე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოჟოვსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**შამაში,** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**გრიგორიანი.** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

**ასპიხოვი**— ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

**რუდენკო.** შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3 | 4 ს.

**ატენაანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**მხიტარიანი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**კალანტაროვი.** ბებია, ქალთურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ექ. ქალ. ოსხელიანი.** ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ბაგდოევი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserman"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

**ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

**ექიმი ი. ზ. ბძელიშვილი** სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., 5—7 სათ. საღამოს 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 688

**დოქტორი ი. ო. უკლადნიკოვი**

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე, ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12 -25. 751

**ექიმი გ. მ. ღოღობერიძე** ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 1—3 საათამდე. საბებიო და ქალის ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524

მოსკოვში კურს-დამთავრებული

## ბებია-ქალი

(მასსაჟის მცოდნე).

სთხოვს ბ-ნ ექიმებს, მისცენ ალაგი საავადმყოფოში ან კერძო სამუშაო. მისამართი: „სახალხო გაზეთის" კანტორაში. 755

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

კბილისა **ექიმი ნინო რცხილაძე**

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.


## ხარკუკები

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„უტრო როსსიი" დარწმუნებულია რომ რუსეთის განაპირა ქვეყნები ტყუილ-უბრალოდ ასტეხენ ხოლმე ხმაურობას, როდესაც მათ საერთო იმპერიის ახალი კანონები შეეხებათ, ოადგან ეს განაპირა ქვეყნები ვერ არჩევს, თუ რას ართმევენ ძას და რას აძლევენ.

„ჩვენი განაპირა ქვეყნები უფრთხილდებიან ყველაფერს თავისას, ისეთს, რაც, ძართლაც, მათთვის „თავისიანია". შიშობენ, რომ მათ წაართმევენ თავისას და იძულებით თავს მოახვევენ „სხვისას". ამ შიშიანობის გამწვავების ავადმყოფს მომენტში ძლიერ ვითარდება ავადმყოფური შთაგონება. აღარ არჩევენ იმას, თუ რა არის თვისი და რა არის სხვისი; ყველაფერში ეროვნულ თვითგამორკვევის გაუქმების ცდასა ხედავენ"...

გაზეთს ავიწყდება, რომ ავადმყოფურ ძოგონებას ადგილი არა აქვს იქ, სადაც სინამდვილე თავის ძალას აშკარად იჩენს. აძიტომაცაა, რომ შემდეგ გაზეთი პატეტიურად განაგრძობს:

„ასეთ მომენტის დროს საერთო იმპერიის მოქალაქობრივი კანონმდებლობაც კი მოქუშულ ჰორიზონტზე მრისხანე ღრუბლად ეჩვენებათ. სადარაჯოზე მდგარნი ასტეხენ ხოლმე აურ-ზაურს, თვითონ ჰგონიათ და სხვებსაც არწმუნებენ, რომ მოხდება ახალი „წართმევა" და ახალი „თავს მოხვევა", მაგრამ გაარჩიეთ, ბატონებო, ის, თუ რას „გართმევენ". თუ „უცხოს" გართმევენ, ნუ სწუხართ, და თუ „თავს მოხვეულს" გართმევენ,

მაშინ გაიხარეთ ასეთი „წართმევით“.

როგორიც არ უნდა იყოს ეს „წართმევა“, იგი მხოლოდ ერთს რასმე გამოხატავს: მართმევენ—მაშასადმე, მე არ მინდა მისი მიცემა. მაგრამ „უტრო როსიი“-ს ფსიხიკაში თურმე შესაძლო ყოფილა სხვანაირი წარმოდგენაც. მეორე მხრით გაზეთი ფინლანდიელებს უსაყვედურებს: შენ ყველაფერი უცხო გაქვს—შვეციიდან „თავს მოხვეული“ და, თუ ამას გართმევენ, ნუ სწუხარო. მართალი იქნებოდა გაზეთი, როდესაც წართმეულის მაგიერ რუსეთის კანონმდებლობა ფინლანდიელებს უკეთეს რასმე ანიჭებდეს. მაგრამ განაპირა ქვეყნებმა ხომ კარგად იციან, თუ რა ჯურისაა ის „უკეთესი“, რომელსაც აწვდის „უტრო როსიის“ გაზეთებისთანა პრესის მიერ მხარ დამშვენებული რუსეთის ბიუროკრატია.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

◆ **სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ვ. გელოვანი** გუშინ წინ დილით პეტერბურგს გაემგზავრა. დეპუტატმა თან წაიღო აუარებელი მასალა, რომელიც მან შეაგროვა უკანასკნელ მოგზაურობის დროს და რომელსაც გამოიყენებს სათათბიროში შეკითხვების შეტანის დროს.

◆ 26 ოქტომბერს სოფელ ქვიანიდან (ოზურ. მაზრა) **გლეხების დეპუტაცია, ტ. ართმელაძის ხელმძღვანელობით, წარუდგა სახ. სათათბიროს დეპუტატს ვ. გელოვანს**—ტფილისში. დეპუტაციამ სთხოვა ბ. გელოვანს, შუამდგომლობა გაეწია. ნამესტნიკის საბჭოს წევრს ბ-ნ ჟუნკოვსკის წინაშე, რათა უკანასკნელს ქონებრივი დახმარება გაეწია მათთვის იმ სამეურნეო სკოლის მოწესრიგების საქმეში, რომლის გახსნაც უკვე ნებადართულია ს. ქვიანში სახელმწიფო ქონებათა მთავარგამგეობის მიერ. უკვე გადაწყვეტილია მიეცეს ამ სკოლას ყოველ წლობით ხაზინიდან 2000 მანეთი და კავკასიის საერობო თანხიდან 800 მანეთამდე. ეხლა მოუსავლობიანი წლების გამო ქონებრივად წელში გატეხილ სოფლის სახელით დეპუტაცია თხოულობს: 800 მან. შეწევნის 1200 მანეთამდე გადიდებას და სკოლის მოსაწესრიგებლად კიდევ ერთდროულ დახმარებას. ბ. გელოვანმა გლეხების დეპუტაცია დიდის ყურადღებით მიიღო და შესაფერი შუამდგომლობაც აღძრა, რომლის დაკმაყოფილებაც უკვე აღუთქვამთ მისთვის.

◆ **გუბერნატორმა ნება დართო,** 1) ტფ. ვაჟთა მეხუთე გიმნაზიის მშობელთა წრის საბჭოს თავმჯდომარეს, გამართოს 18 ნოემბერს სახაზინო თეატრში საოპერო წარმოდგენა წრის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად, 2) ტფ. ქალთა მესამე გიმნაზიის მშობელთა წრის საბჭოს, გამართოს 23 ნოემბერს წარმოდგენა „ტფ. საკრებულოში“ და 3) ახალციხის პროგიმნაზიის მთავრობას, გამართოს 3 ნოემბერს სინემატოგრაფიულ სურათების დემონსტრაცია ხსენებულ პროგიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

◆ წელს **ჯარში გაწვეულთ** 31 ოქტომბერს თავ-თავიანთ პოლკში გაგზავნიან.

◆ 27 ოქტომბერს მიწას მიაბარეს ცხედარი სომხის საზოგადო მოღვაწის „მშაკის“ რედაქტორის ა. ქალანთარისა. დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო. დაწვრილებით ხვალ.

◆ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა.** დღეისთვის დანიშნულია ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო და სარევიზიო კომისიის შეერთებული კრება ქალაქის 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის გასაგრძელებლად. კრება, სხვათა შორის, განიხილავს სამშობიარო თავშესაფარის ხარჯთ-აღრიცხვას.

◆ **ლექცია** შაბათს, 2 ნოემბერს, საზოგადო კლუბში ა. ს. კოზლოვსკი ლექციას წაიკითხავს დოსტოევსკიზე.

◆ **მომხმარებელ საზოგადოებათა ნორმალური წესდება** ქართულმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ უკვე მიიღო პეტერბურგიდან და მსურველთ მისი მიღება შეუძლიანთ საზოგადოების კანცელარიაში.

◆ **კვირეული ჟურნალები.** ვასაკ ვართანიანცმა და სატენიკ ლაშქარიანმა გუბერნატორს სთხოვეს, ნება დართოს მათ, გამოსცენ ტფილისში კვირეული ნახატებიანი იუმორისტული ჟურნალები.

◆ მეფის მოადგილის თანაშემწე **სენატორი ე. ა. ვატაცი** 27 ოქტომბერს პეტერბურგს გაემგზავრა.

◆ **ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი** ამ ჟამად ავად არის და ლოგინში წევს.

◆ **ფრინველთა გამოფენა** 27 ოქტომბერს დაიხურა. 7 დღის განმავლობაში გამოფენა დაათვალიერა 9,000 კაცმა.

◆ **სახალხო განათლება.** პეტერბურგის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მიმდინარე წლის 23 დეკემბრიდან 1914 წლის 3 იანვრამდე პეტერბურგში იწვევს სრულიად რუსეთის პირველ კრებას სახალხო განათლების საკითხთა გამო. კრების მონაწილენი საწევრო ფულად 3 მ. იხდიან. კრებაში მონაწილეობის მსურველებმა ამ ადრესით უნდა მიმართონ: პეტერბურგი, ტეატრალნი ქ. 5. წერა-კითხვის საზოგადოება.

◆ **ტრამვაის ვაგონების მოძრაობა** გუშინ, დილის 10 საათზე, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, 10 წამით იყო შეწყვეტილი ელექტრონის ძალის უქონლობისა გამო.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო პ. ინგოროყვას წიგნი „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“ (წიგნის ტექსტები XIII—X საუკუნეებისა), გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოების** საბჭოს პირველი კრება 26 ოქტომბერს მოხდა. როგორც ვწერდით, საბჭოს თავმჯდომარედ საზოგადო კრებაზედვე არჩეულ იქმნა ქ-ნი განდეგილი. საბჭომ თავმჯდომარის ამხანაგად აირჩია ქ-ნი ო. კ. მიქელაძისა და დაადგინა, საბჭოს წევრად მოიწვიოს პირველი კანდიდატი ქ-ნი კალატოზიშვილი ა. შემდეგ საბჭომ შეიმუშავა საქმეების წარმოების წესრიგი. საბჭომ დაადგინა, თავისი კრებები ყოველ შაბათობით მოიწვიოს ხოლმე. კრებაზე აღიძრა საკითხი: დაარსდეს სექციები, მოეწყოს საღამოები და ლექციები და გამოიცეს ალმანახი, რომლის სარედაქციო კომისიაში საბჭოს ყველა წევრი უნდა შევიდეს. საბჭოს აზრად აქვს, ლექციების წასაკითხად მოიწვიოს შემდეგი პირნი: ს. გორგაძე—ისტორიისათვის, ივ გომართელი, ვ. ბარნოვი და ი. ვართაგავა—ლიტერატურისათვის და ვ. ლამბაშიძე—აღზრდის საკითხისათვის.

◆ **ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის** კრება 30 ოქტომბრისათვის არის დანიშნული. კრების საგანია: 1) გაცნობა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტთა მუშაობის პირობებისა და მათი მოქმედებისა და 2) განხილვა ქალაქის გამგეობის 1910-1911 წლის ანგარიშებისა.

◆ **მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტის** კრება გუშინ მოხდა, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში. კომიტეტი შეუდგა 1914 წ. ხარჯთაღრიცხვის განხილვას.

◆ **კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო ბიუროს** კრება დანიშნულია ხუთშაბათს, 31 ოქტომბრისათვის. განსახილველია: 1) პროგრამა და დებულება მეორე საკოოპერაციო კრებისა, 2) საკითხი საერობო კასის მონაწილეობისა კოოპერაციის განვითარებაში და 3) მორიგი საკითხები.

◆ **მევენახეობა და მეღვინეობა.** მეფის მოადგილემ ნება დართო, ამიერ-კავკასიისა და თურქესტანის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტების წარმომადგენელთა კრება 8 ნოემბრის მაგივრად 5 ნოემბერს მოიწვიონ.

◆ **ქალაქის სატყეო-საბაღოსნო კომისიის** კრება დღეისთვის არის დანიშნული.

## სასამართლო

◆ **თ-დ დ. გ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა და სხვათა საქმე.** სენატმა გააუქმა ტფ. ოლქის სასამართლოსი და პალატის განაჩენი, რომლითაც თ-დ დ. გ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა, მარკოზოვსა და კუზერტკის ღირსების აყრა და თითო წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ჰქონდათ მისჯილი. მათ ბრალდებოდათ სხვის მამულის მიყიდვა რუს-გლეხებისათვის. საქმეს ტფ. სამოსამართლო პალატა ხელმეორედ გაარჩევს.

## თელავი.

◆ ქ. შ. წ. კ. საზოგადოების თელავის განყოფილების წევრთა წლიური კრება დანიშნულია 17 ნოემბერს, ქართულ სკოლის შენობაში.

## სიღნაღი

◆ **დაჭრა.** სოფელ გურჯაანის მცხოვრები დავით რაქვიაშვილი დაუხვდა ციხიდან დაბრუნებულს აზიურ მეჩექმეს სვიმონ ზახაროვს და კისერში მძიმედ დასჭრა. როგორც ამბობენ, მიზეზი პირადი შურის ძიებაა.

◆ **მკვლელობა.** სოფ. ჯუგაანის მცხოვრებთ ბასა ელაშვილსა და ნიკა ბექაშვილს ქორწილში ჩხუბი მოუვიდათ, ბექაშვილმა ელაშვილს თავში სადვინე დაარტყა და იქვე მოჰკლა.

◆ **მკვლელობა.** სოფელ ანაგის მცხოვრებმა ჯათიკო ზაქალაშვილმა ცულით მოჰკლა თავისი ცოლი.

# მოკლე პასუხი

ჩემმა წერილმა ჟურნალი „კლდის“ გულის წყრომა გამოიწვია. მხოლოდ გულის წყრომა და არა პასუხი. პასუხი არ მაკადრა, ვინაიდან ისეთს პირებთან, რანაირიც მე ვარ, სერიოზულ საკითხებზე კამათი, „რასაკვირველია“, შეუძლებლად მიაჩნია. ეს კიდევ ცოტაა. „კლდე“ პატეტიურად გვეკითხება: „ვალდებულნი ვართ, ვიდრე აქ წერილს დავამთავრებდეთ, შემდეგის კითხვით მივმართოთ ბ-ნ არ. ჯ—შვილისთანა პოლიტიკოსებს და პუბლიცისტებს: სთვლის თუ არა თავის თავს საკმაოდ მომზადებულად და შორს მხედველად, როდესაც ასე გაფთრებით ებრძვიან ჩვენს დასაბუთებულს აზრს და კისრულობენ თუ არა აგრეთვე პასუხისმგებლობასაც ქვეყნის წინაშე, როცა ასე თავგამოდებით იცავენ მთავრობის კანონ-პროექტს ხიზანთა საკითხის შესახებ?“

დავაკმაყოფილებ „კლდის“ პუბლიცისტის ბ-ნ ა—ი-ს ცნობისმოყვარეობას და მოვახსენებ, რომ მე იმდენად მომზადებულად მიმაჩნია ჩემი თავი, რომ სრულიად ანგარიში არ გავუწიო ბ-ნ ა—ი-ს ღვარძლიან წერილს, რომლის ერთად-ერთი დანიშნულებაც არის იმოქმედოს ჩემს თავ-მოყვარეობაზე. ზემოხსენებული „პუბლიცისტი“ ცდილობს დამამციროს და ჩემი თავმოყვარეობის შეურაცყოფით გააბათილოს ის, რაც ჩემის ღრმა და გულწრფელ რწმენის საგანს შეადგენს. გავუმეორებ: იმდენად მომზადებული ვარ, რომ ბატონშურ ყოყოჩობას არავითარი ყურადღება არ მივაქციო. სხვაფრივ კი ჩემს მოქმედებაზე არაფერს ვიტყვი, რადგანაც ეს საკამათო საგანს არ შეეხება. არც ის შეადგენს საკამათო საგანს—მე კუდა-აზნაური ვარ თუ არა. არც შემიძლიან „უცნაურობად“ ჩავთვალო ის გარემოება, რომ ჩემისთანა „კუდა-აზნაური“ თავად-აზნაურული ტენდენციებით არ ვიყავ გაჟღენთილი. და თუ ეს ბ-ნ ა—ი-ს უცნაურობად მიაჩნია, სჩანს იგი ღირსეული მასწავლებლის ღირსეული შეგირდი ყოფილა.

ბ-ნ ა—ი-ს ერთი რამ მაინც უნდა მოვახსენო არსებითად. იგი ბრძანებს, არ. ჯ—შვილი და „სახალხო გაზეთი“ მთავრობის პროექტს უჭერს მხარსაო. ეს, მსუბუქად რომ ვსთქვათ, ტყუილია. არც ერთხელ „სახალხო გაზეთში“ მთავრობის პროექტის დასაცავად წერილი არ დაბეჭდილა. „სახალხო გაზეთი“ ეკამათება ან—ფას, რომლის პროექტიც, თავისი შინაგანი თვისებით, უფრო ცუდია, ვიდრე მთავრობისა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, თითქოს თვით მთავრობის პროექტიც კარგი იყოს. რანაირად უნდა გადასწყდეს ხიზანთა საკითხი ჩვენის აზრით? გეტყოდით, მაგრამ გვეშინიან, როგორც რეალური პოლიტიკით დაბრძენებულ და ყოველ გვარ „სოციალური ილიუზიებს“ მოკლებულ ხალხს, გული არ შეგიწუხდეთ. ამის მეტი საპასუხო არაფერი მაქვს.

არ. ჯ—შვილი.

# დეპ. ვ. გელოვანის მოგზაურობა

## დეპუტატი ზუგდიდში

მრავალი სხვა და სხვა თხოვნით მიმართა დეპუტატს ქ. ზუგდიდის დეპუტაციამ, ნაფიცი ვექილის გრ. დადიანის მეთაურობით. ყველაზე უფრო მწვავე და საყურადღებო ზუგდიდელებისთვის დღეს რკინის გზის საკითხია. მკითხველმა იცის, რომ გადაწყვეტილია ტუაპსედან ქვალონამდე რკინის გზა გაიყვანონ. ამ მიზნით დაარსდა შავიზღვის რკინის გზის საზოგადოება. მთავრობის გეგმით ეს გზა დაშორებული იქნება ზუგდიდზე ათი ვერსით, გაივლის კახათში. ზუგდიდელები დიდი ხანია შუამდგომლობენ, რომ რკინის გზა ზუგდიდს დაუახლოვდეს. ამ მიზნით ზაფხულზე დეპუტაცია გაგზავნეს ოლდენბურგის პრინცთან. პრინცმა დახმარება აღუთქვამს და ურჩევია, მიემართათ გზათა მინისტრის რუხლოვისათვის. მას უთქვამს: საჭირო ცნობებს შევკრებ ამ საქმის შესახებ და ისე გადავსწყვეტ საკითხსო. მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება ზუგდიდისათვის, თუ რკინის გზა ორი ვერსის მანძილზე გაკეთდა, როგორც ამას ზუგდიდელები თხოულობენ; ცხადია, ეს დიდად წასწევს წინ ზუგდიდის საქმეს, და ზუგდიდელებიც არ ზოგვენ არაფერ საშუალებას. თანახმა არიან მიიღონ ის ხარჯი, რომელიც რკინის გზის საზოგადოებას მოჰყვება, თუ გზამ ზუგდიდთან ახლოს გაიარა. მდებარეობითაც, ჰავითაც, რასაკვირველია, ზუგდიდი სჯობია კახათს, რომელიც ციებ-ცხელებიანი ადგილია. დეპუტაცია სთხოვს გელოვანს, დაეხმაროს ამ საქმეში, ხელი შეუწყოს მის სასურველად გადაწყვეტას. დეპუტატმა აღუთქვა—ვეცდები, საქმე ზუგდიდის სასარგებლოდ გათავდესო. მთავარი საკითხია ზუგდიდელებისთვის საქალაქო თვითმართველობის მოპოებაც. ამის შესახებ შუამდგომლობა დიდი ხანია აღძრულია, ელიან—აი, ეხლა მოგვცემენ უფლებას, აი, ეხლაო, მაგრამ, არ იქნა, არაფერი ეშველა, ხელს უშლიან და აბრკოლებენ ამ კეთილ საქმეს ისინი, ვისთვისაც სასარგებლო არ არის, რომ ზუგდიდში საქალაქო თვითმართველობა იყოს. დღეს ზუგდიდს საკმაოდ დიდი შემოსავალი აქვს, რომელიც ადმინისტრაციის სრულ განკარგულებაშია, არვინ იცის,—ვისზე და რაზე იხარჯება ფული და რა გასაკვირველია, სამაზრო მართველობამ წინააღმდეგობა გაუწიოს ამ საქმეს. თუ ქალაქი დაარსდა, მაშინ ხომ ქალაქის მოურავი იქნება სამეურნეო ნაწილში ზუგდიდის პატრონი, დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი მთელი ზუგდიდის მაზრა იმით, რომ ხაზინა არ აქვთ; ერთ-ორ დღეს მაინც უნდა მოცდეს კაცი, რომ სახელმწიფო გადასახადი შეიტანოს. ამის შესახებაც აღძრული ყოფილა შუამდგომლობა. დეპუტატი შეჰპირდა აღნიშნული საქმეების თაობაზე შუამდგომლობას მთავრობის წინაშე. ზუგდიდელებმა დეპუტატის პატივსაცემად ადგილობრივ კლუბში ნადიმი გამართეს. ხუთის ნახევარი იყო დარბაზში აუარებელმა ხალხმა თავი შეიყარა, მოვიდა თვითონ ვ. გელოვანიც. გაიმართა ნამდვილი ძველებური, ქართული ნადიმი საუცხოვო სიმღერებით. მრავალი სიტყვა წარმოითქვა. ზუგდიდის ამომრჩეველმა გ. ბუკიამ ლამაზი და შინაარსიანი სიტყვით მიმართა დეპუტატს. მან სხვათაშორის სთქვა ბედნიერად ვსთვლი ჩემს თავს დღეს, რადგან

# ოსმალეთის ახლო წარსულიდან

დღესაც მეტად უნუგეშო მდგომარეობას განიცდის ოსმალეთი. მას, როგორც შინაური, ისე გარეშე პოლიტიკაც აერია. პირველი ვერ მოაწყო, რადგან მთავრობის პარტიამ ხალხის სულისკვეთებას ალღო ვერ აუღო, ხოლო მეორე კი ევროპის მიერ მოწყობილს დიპლომატიურ ხრიკებს შეეჯახა და დაიმსხვრა. დღესაც სწორედ გამოუხსნელს უხერხულ მდგომარეობაშია ოსმალეთი. მერე, რამ გამოიწვია ეს? ამის საპასუხო მიზეზების მოსახსენებლად, უნდა შევჩერდეთ ცოტა და მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციოთ ოსმალეთის ახლო წარსულზე. ჩვენგან ნაამბობი არის ის, რაც საკუთარის თვალით გვინახავს ან წაგვიკითხნია ან და ოსმალეთის ცნობილ პირთაგან მოგვისმენია. თუმცა-ღა ოსმალეთის კონსტიტუციისა და მოძრაობის შესახებ ქართულ პრესაშიაც ბევრი რამ ითქვა და დაიბეჭდა; სხვათა შორის, ისიც იყო ნათქვამი, რომ 31 მარტის აჯანყება ქამილ-ფაშის შეთქმულებითა და „ეხრარების“ (ლიბერალების) ხელმძღვანელობით მოხდაო და სხვა. მაგრამ ყველა ეს, სიმართლეს მოკლებული იყო. მართალია, მატყუარა და ვერაგი დესპოტი ჩამოსვეს სისხლში მოსვრილ ტახტიდან, მაგრამ როგორ და რანაირად? სწორედ ესაა ჩვენი საბაასო საგანი.

ვინც კი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ოსმალეთში მომხდარ ამბებს, იმათ კარგად ეხსომებათ რა გარემოებამ დასცა ოსმალეთი, როგორც ზნეობრივად, ისე ქონებრივად. აბდულ ჰამიდის დესპოტურმა რეჟიმმა დასთრგუნა ხალხის კეთილდღეობა, დასცა ოჯახი, გარყვნა ზნეობა: ცოლი—ქმარსა, და—ძმასა და შვილი—მამას სულ უბრალოდ ჰგმობდა, მტრობდა და ღალატობდა. შესაძლებელი იყო განა შეგნებული მამულიშვილისთვის იმგვარს ყოფაში ცხოვრება!—რასაკვირველია, არა! და ხალხიც მოუთმენლად მოელოდა დუხჭირ ცხოვრებისაგან მხსნელს წინამძღვარს. ის იყო, რომ მონასტრეში „ტაშლიჯას“ მუფტის ხელმძღვანელობითა და ზოგიერთ აფიცრის შემწეობით ალბანელებმა გამართეს მიტინგი და ხალხის დადგენილებით გამოცხადებულ იქმნა თავისუფლება. თან აბდულ-ჰამიდსაც მიმართეს, რათა მასაც საქვეყნოდ გამოეცხადებინა და დაემტკიცებინა კონსტიტუცია, რაც ამ ოცდა-ათი წლის წინად იყო გამოცხადებული.

აბდულ-ჰამიდი იძულებული შეიქმნა დათმობის გზას დადგომოდა და გამოსცა კიდეც მანიფესტი. და მოხდა სწორედ სასწაული: ოსმალეთის ქვეშევრდომი ერები, ერთმანეთის მოსისხლე მტრები, შეაერთა ამ ახლად მოვლინებულმა გარემოებამ ისე, როგორც ერთი შთამომავლობის, ერთი ოჯახის გულწრფელი წევრები და ძმები. ყველა სიხარულით აღნიშნავდა: აწ რაღა გვიჭირს, თავისუფლება მოგვეცა, კონსტიტუცია აღვადგინეთ, ქონება სახლ-კარისა და პირადი უფლებების შელახვა შეუძლებელია. ერთის სამეფოს და ერთი სამშობლოს შვილები ვართ; რაც დღემდე იყო, დავივიწყოთ და დღეის აქეთ-კი, როგორც ერთი ოჯახის წევრები, შევუდგეთ აოხრებულ ჩვენის სახლ-კარისა და დაცემული სამშობლოს შენებასაო და სხვა. და სწორედ ამ გვარმა ერთსულოვნებამ გამოიწვია ის გარემოება, რომელმაც მთელი ევროპა განცვიფრებაში მოიყვანა. ამ გარემოებით იყო, რომ დამსახურებულ იქნა მთელი ევროპის ყურადღება ოსმალეთისადმი და მართლაც საიმედო შეიქნა მომავალი ოსმალეთისა; მაგრამ როგორც კი ჩაერია ამ რევოლიუციის მოწყობასა და ოსმალეთის განახლების საქმეში პარიზში მყოფი, ეგრედ წოდებული „ერთობისა და პროგრესის პარტია“ და ჩაიგდო ხელში თუ არა მთელი ოსმალეთის მართვა-გამგეობა, მაშინვე ეცვალა ფერი მათს შინაგან პოლიტიკასა და მას თან მოჰყვა გარეშეც. გაბატონდა ისევ ძალმომრეობა. შენაძენი ძალების დასამკვიდრებლად დაარსეს ოსმალეთის გუბერნიებში, ოლქებში, მაზრებში და სოფლებში თავიანთი პარტიის განყოფილებანი. რაც ძველი პოლიციის წევრები იყვნენ ჟანდარმებიდან მაღალ პირებამდე, ყველა პარტიის წევრი შეიქმნა და „გაძლიერდა“ პარტიაც. გააწერეს ხალხს ახალ-ახალი გადასახადები პარტიის სასარგებლოდ. ვინც-კი ეს მოთხოვნილება არ ასრულა, დათხოვნილ იქნა სამსახურიდან და განიდევნა. ვინც მათს პარტიას არ ეკუთვნოდა იგი მოღალატე იყო სამშობლოსი, მტერი იყო ხალხისა, მაცდური და რეაქციონერი. ერთი სიტყვით, სამშობლოსათვის კეთილის მოსურნე უეჭველად „ერთობისა და პროგრესის პარტიის“, წევრი უნდა ყოფილიყო. ეს იყო მათი მიზანი და მართულება. და აი ამ თვითნებობას მოჰყვა სწორედ 31 მარტის საზიზღარი ამბავი. მათს მომდურავ ხალხსაც რომ თავი დავანებოთ, პარტიის წინააღმდეგ უფრო მეტად მათივე საიმედო ჯარის-კაცები ამხედრდნენ. ამბოხების საბაბად სულ უბრალო მოვლენა გადაიქცა: პარტიამ გამოიწერა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს ჯარის თავსახურავის ნიმუშები; რომლებიც უფრო გამოსადეგი იქნებოდა, უნდა შემოეღოთ ოსმალთა ჯარში. მაგრამ როგორც კი დაინახა ჯარმა ეს არაჩვეულებრივი ნიმუშები ქუდებისა, დაიწყო ყოყმანი და აღიმაღლა ხმა: ჩვენი გადაგვარება უნდათ, დავიცვათ ამ ურჯულოთაგან სარწმუნოება, სამშობლო და ერიო! ჯგუფ-ჯგუფად გამოვიდნენ სადგომებიდან და შეიერთეს, დაიყოლიეს სტამბოლის მთელი გარნიზონი. ვინც კი წინააღუდგა, მოჰკლეს. მოჰკლეს აგრეთვე რამდენიმე აფიცერი და, პარტიის წევრების მაგიერად, შეცდომით პარლამენტის ორი წევრიც; გაანადგურეს პარტიის კლუბები, გამართეს პარლამენტის წინ მიტინგი, ამოირჩიეს ბიურო და გაგზავნეს პარლამენტში. მოსთხოვეს პარლამენტს ახმედ-რიზას თავმჯდომარეობიდან გადაყენება, რადგან მას სთვლიდნენ იმის მიზეზად, რაც უსამართლოება ხდებოდა ძველს ოსმალეთში. ამასთან ერთად კაბინეტის გადადგომა, ამბოხების მონაწილეთა დაუსჯელობა, მანიფესტის გამოცხადება. ასეთი გამწვავების დროს ერთი აფიცერი ვერაგულად ჰკლავს გაზეთ „სერბესტის“ ახალგაზრდა, ნიჭიერს თანამშრომელს ჰასან ფეჰმი-ეფენდისა და სასიკვდილო ჭრილობას აძლევს მის ამხანაგსა,—რადგან ჰასან-ფეჰმი-ეფენდი ხშირად ჰკიცხავდა გაზეთ „სერბესტის“ საშუალებით პარტიის თვითნებობასა. დაემატა ეს მკვლელობაც პარტიის წინააღმდეგ ისედაც აღძრულ ხალხის აღელვებასა და თუ იგი აქტიურად არა, აზრითა და ფიქრით მაინც შეუერთდა ჯარსა და წარუდგინა პარლამენტს მოთხოვნილებანი. შეიწყნარა პარლამენტმა ჯარის ეს მოთხოვნილება და შეიტანა ახმედ-რიზამაც გადადგომის თხოვნა, რის შემდეგაც გასწია სალონიკისაკენ. ჯარის ამ საქციელისა და მოქმედებისათვის პარლამენტის დადგენილებითა და შუამდგომლობით გამოცხადებულ იქნა უმაღლესი მანიფესტი. თანაც გაგზავნილ იქნა ოსმალეთის ყოველ მხარეს ცნობანი, რომ ჯარის-კაცების მოქმედება მხოლოდ კანონიერი, საფუძვლიანი და უფრო შინაარსიანი კონსტიტუციის დაარსება იყოო და სხვა, ამ გვარად ჩაიარა ოსმალეთში 31 მარტის არა სასურველმა ამბებმა.

ეხლა როგორ უნდა მოეხერხებია პარტიას იმ ბატონობის დაბრუნება, რომელიც კონსტიტუციის პირველ დღეებში ჰქონდა! როგორ უნდა მოეხვეჭათ ის გავლენა, რომელიც მათ პირად ინტერესების სასარგებლოდ ჰქონდათ გამოყენებული. გაეშურნენ ისევ მაკედონიაში. ჩავიდნენ თუ არა მონასტირსა და სალონიკში, მაშინვე მოჰყვნენ ლალადს: გვიშველეთ, რეაქციონერებმა გაიმარჯვეს, კონსტიტუცია დაგვიღუპაო და სხვა. გამართეს მიტინგები, წარმოსთქვეს ხალხის აღმაღელვებელი კაზმული სიტყვები: დავეცეთ რეაქციონერებსა, ლიბერალებსაო. გაგზავნეს სხვა და სხვა ადგილებში ჯარისა და თავისუფალ მეომრების თავშესაყრელად წარმომადგენლები და ჯარით გამოილაშქრეს სტამბოლისაკენ.

მაჰმუდ-შევქეთ-ფაშამ თავი გამოლაშქრებულ ჯარის მთავარ-სარდლად გამოაცხადა და მოუახლოვდა სტამბულს. გაეგება მათ სტამბოლიდან რამდენიმე წარმომადგენელი და უთხრა: კონსტიტუცია შელახული არაა და თქვენმა ამ გვარმა მოქმედებამ სტამბოლში საერთო მკვლელობა არ გამოიწვიოსო, მაგრამ ვერ დააჯერეს. საჭირო შეიქნა საბჭოსა და პარლამენტის მთელი შემადგენლობა წარმდგარიყო მათ წინაშე. დეპუტაციამ შემდეგი სიტყვით მიმართა მაჰმუდ-ფაშას: იქნება ამგვარმა თქვენმა გამოლაშქრებამ ის ნაყოფი გამოიღოს რომ აბდულ-ჰამიდმა დრო იხელთოსო, მაგრამ ვერც ამან გასჭრა. უკან დაბრუნება ჯარისა აღარ მოხერხდა და დეპუტაციამაც ნება-უნებურად მორჩილება გამოუცხადა მათ.

ამ არეულობის დროს შორს-მჭვრეტელობა გამოიჩინა სამხედრო მინისტრმა ნაზიმ-ფაშამ; მან, როგორც კი შეიტყო საქმის ვითარება, მაშინვე სტამბოლში მყოფი, მეამბოხე ჯარი დიდის ხერხითა და უნარით გამოიყვანა სადგურ-ციხეებიდან, ვითომდა სავარჯიშოდ და ნაწილ-ნაწილად სხვადასხვა ალაგას გაგზავნა, რათა გამოლაშქრებულ ჯარისათვის წინააღმდეგობა არ გაეწიათ. შემდეგ მოხერხებულად შეუერთა გამოლაშქრებულებს სტამბოლის მეამბოხე ჯარი, რათა დაემტკიცებია, რომ კონსტიტუცია შელახული არ იყო.

ჩაიგდო „ერთობისა და პროგრესის პარტიამ“ მთელი ოსმალეთის მართვა-გამგეობა ისევ ხელში. პარლამენტის თავმჯდომარეობიდან გადაყენებული ახმედ-რიზა ისევ თავმჯდომარედ დასვეს. შემდეგ ამისა, ვინც, მათი აზრით, სასარგებლო და სანდო არ იყო, ვინც ჰკიცხავდა მათს მოქმედებას და კრიტიკას უკეთებდა, ყველა შეიპყრეს, როგორც რეაქციონერი; ზოგს მძიმე სასჯელი, ზოგს სამუდამო ციხე და ზოგს ტყვიით დახვრეტა გადაუწყვიტეს... მათ შორის შეიპყრეს თავისუფლებისათვის მებრძოლი, მთელს ევროპაში ცნობილი სებაჰ ედდინ-ბეი. შემდეგ დაიჭირეს გამოჩენილი ისტორიკოსი მურად ბეი. მთელი სტამბოლი აიკლეს: ვისაც წასცდებოდა პარტიის შესახებ უბრალო რამ სიტყვა, ვაი მის ბედს, სამხედრო სასამართლოს გადაეცემოდა და შველა აღარ იყო.

ახლა მკითხველო, ერთი მიპასუხე, მერე როგორ უნდა შერიგებოდა ისედაც მრავალწლობით თვითნებობის უღელქვეშ ტანჯული ხალ-

მოვესწარით ზუგდიდში იმის ხილვას, ვისაც მშრომელმა ხალხმა თავისი ინტერესების დაცვა მიანდო, ბედნიერი ვარ იმითაც, რომ დღეს თქვენ ყველას შეგ ძლიათ დარწმუნდეთ, რომ მე ჩემი მოვალეობა პირნათლად შემისრულებია; ჩემი ხმა მივეცი იმას, რომლის ხანმოკლე, მაგრამ დიდმნიშვნელოვანია მოღვაწეობაც, მშრომელი ხალხისა და დაჩაგრული ქართველი ერის მისწრაფება სურვილების გამოსახატავად. გელოვანის ერთი წლის მოღვაწეობამ დაამტკიცა, რომ იგი ჩვენი სურვილის, საქართველოს გულის ტკივილის ღირსეული და საუკეთესო გამომსახველია.

კარგი იყო ბერიძის სიტყვა. დანარჩენი ორატორები აღნიშნავდნენ ჩვენი დეპუტატის განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომ ის ერთადერთია, რომელიც ქართველი, ხალხის ინტერესების დამცველად გამოდის, რომ მას აწევს მეტად რთული და პასუხსაგები მოვალეობა, დახმარება კი არსაიდან არის არც მატერიალური არც გონებრივი. მრავალჯერ დაილია დეპუტატის სადღეგრძელო, წარმოითქვა ეროვნული სიტყვები. ასე, ცხრა საათი იქნებოდა, რომ დეპუტატმა შეკრებულთ მადლობა გადაუხადა იმ მაურვალე თანაგრძნობისათვის, როგორითაც მას ზუგდიდისა და მისი მაზრის მცხოვრებნი მიეგებნენ.

მან სხვათა შორის სთქვა:—„ჩემი უმთავრესი მოვალეობაა ჩვენი ერის მშრომელი ნაწილის ინტერესები დავიცვა, მისი გაჭირვება-შევიწროება დ დაჩაგვრა რუსეთის საზოგადოებას გავაცნო: მოვითხოვო მათთვის ცხოვრების ისეთი პირობები, სადაც მშრომელთა მასას შეეძლება თავისუფალი განვითარება და ცხოვრება მე ერთი ვარ,—სთქვა დეპუტატმა, მოგეხსენებათ, რომ ერთი კაცი, თუნდაც გენიოსი, ვერ შეასრულებს დიდის რისამე გაკეთებას იქ, სადაც სხვა ოთხას ოთხმოცდა ხუთია, მაგრამ მერწმუნეთ, თუ ჩემი ამომრჩეველნი ჩემთან იქნებიან, თუ იმათ ჩემთან დამოკიდებულება ექნებათ, ამ პირობებშიაც შესაძლებელი იქნება რამე.“ დასასრულ უსურვა ყველას გამარჯვება.

ცხრა საათმა მოაწია და გამოეთხოვა ყველას და გასწია თავად მინგრელსკისთან. უპირველესი საქმე, რომლისთვისაც მას თავადის ყურადღება უნდა მიექცია, ლეჩხუმელი გლეხების საჩივარი იყო. როგორც ჩვენ გაზეთში უკვე იყო აღნიშნული, მთავრის მმართველმა მიჯნაში შეიტანა სამასი გლეხის მიწა, რომელიც თავადის საკუთრებას არ შეადგენდა. ამ გამიჯვნის ძალით კანონმა, რასაკვირველია, მინგრელსკის მიანიჭა საკუთრების უფლება მიწებზე; გლეხებს, თუ ეს მიწა წართვათ, ცხოვრება არ შეუძლიათ, მინგრელსკისათვის კი იგი არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. დღეს ის მიწები იურიდიულად სამეგრელოს მთავრის მემკვიდრეს ეკუთვნის, არსებითად-კი გლეხების საკუთრებას შეადგენს.

მეორე საკითხი, რომელზეც დეპუტატი თავადს უნდა მოლაპარაკებოდა, იყო ზუგდიდის მაზრის გლეხების მდგომარეობა. ამათაც ძლიერ ავიწროებს, თურმე, პრინცის მმართველი. ამის გამო თვით მომრიგებელი მოსამართლეც კი აღშფოთებულია მმართველის მოქმედებით. დეპუტატს აგრეთვე უნდა ეთხოვა, რომ ძველი-სენაკის სამაზრო სკოლისთვის თავადს ეწყალობებია ის ადგილი, რომელზედაც დღეს სკოლის შენობაა აგებული... თავ. მინგრელსკისაგან დაბრუნების შემდეგ დეპუტ. გელოვანმა გადმოგვცა, რომ თავადს სამივე თხოვნა შეუსრულებია. ძველ-სენაკის სკოლის შესახებ დეპუტატისთვის უთქვამს: თუ თქვენ იკისრებთ ზნეობრივ ვალდებულობას, რომ სკოლა ძველ-სენაკში დარჩება, მაშინ თანახმა ვარ მიწა დავუთმოო. ორშაბათს, ოცდაერთს ოქტომბერს, დიდ ძალი ხალხი შეიყარა დეპუტატის გასაცილებლად. ბევრმა მოისურვა სოფელ ცაიშამდე ეტლით გაყოლა. დეპუტატმა მადლობა გადაუხადა ხალხს თანაგრძნობისათვის, გამოეთხოვა და გაემგზავრა სენაკისაკენ. რამდენიმე ეტლით იგი სოფელ ცაიშამდე გააცილეს.

„იმერეთი“.

## წერილები პეტერბურგიდან

(ახალი კანონ-პროექტი)

სათათბიროს წევრმა ა. ი. შინგარიოვმა ხალხის ჯანმრთელობის გამგე კომისიაში შეიტანა ახალი კანონ-პროექტი პროსტიტუციის რეგლამენტაციის გაუქმების შესახებ. ეს კანონ-პროექტი ამ რამდენიმე დღის წინად საბოლოოდ შეიმუშავა რუსეთის ქალთა თანასწორობის ლიგამ. ლიგა წინააღმდეგია იმ პირობების, რომელიც ახლა არსებობს პროსტიტუციის წინააღმდეგ, ე. ი. უარყოფენ არსებულ რეგლამენტაციას რუსულ კანონებში. ლიგის თავმჯდომარე პ. ნ. შიშკინა-იავეინისა ასე ასაბუთებს ამ მოსაზრებას:

—ყველამ იცის, რომ არსებულ პროსტიტუციის რეგლამენტაციის წყალობით გავრცელებულია ჩვენში ის აზრი, ვითომ მით სარგებლობა არა თუ კანონის წინააღმდეგი არაა, არამედ თვით სახელმწიფო უწყობს ამას ხელსო. რასაკვირველია, ასეთი აზრები, რომელნიც ხელს უწყობენ იქალებისადმი პატივისცემის მოსპობას, გარდა იმისა რომ ხალხს გარყვნილებისაკენ მიერეკება, თვით ზნეობაზედაც ძლიერ გამხრწნელ შთაბეჭდილებას და გავლენას ახდენს. თუმცა არსებობს პოლიცის და ექიმების ზედამხედველობა, თვალ-ყურის დევნება ამ მოვლენისათვის, მაგრამ გადამდები სენისაგან ხალხის დაფარვა ვერ ხერხდება და ვერც შეძლებს ვერავითარი რეგლამენტაცია. ხშირად, ბევრ ალაგას, სხვა და სხვა ექიმთა საზოგადოებას და კონგრესს გაულაშქრნიათ რეგლამენტაციის წინააღმდეგ, რადგან არავითარი სარგებლობის მოტანა მას არ შეუძლია. არა თუ სარგებლობა, პირდაპირ მავნებელია ავადმყოფობის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაშიო. ექიმების უკანასკნელ მსოფლიო კონგრესზე ლონდონში, 1913 წლის ივლისში, გამოთქმული იყ კატეგორიული აზრი, რომ „თვით ცხოვრებას, გამოცდილებას დაურწმუნებია ყველა, განსაკუთრებით კი საფრანგეთის წარმომადგენელნი, რომ, სადაც რეგლამენტაცია არ არის, იქ უკეთეს შედეგს იძლევა პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლაო. ევროპის ბევრ სახელმწიფოში არც არის რეგლამენტაცია, მაგალითად, ინგლისში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, დანიაში, მაგრამ ვერავინ ვერ იტყვის, ვითომ ამ სახელმწიფოებში უფრო იყოს გავრცელებული ავადმყოფობა (ვენერიული), ვიდრე იქ, სადაც რეგლამენტაცია არსებობსო.

შემდეგ კანონ-პროექტის ავტორები ითხოვენ, რომ სახელმწიფო პროსტიტუციასთან და მათზე დამოკიდებულ მოვლენასთან ბრძოლა დაუთმოს, გადასცეს ქალაქებს და საერობო თვითმმართველობის ორგანოებს.

როგორც კი კომისია განიხილავს ამ კანონ-პროექტს, იგი მაშინვე წარედგინება პრეზიდიუმს დ ფიქრობენ, რომ სათათბირო, მიმართულების განურჩევლად, მიიღებს ამ პროექტს, რადგან არ მოელიან პოლიტიკურ ნიადაგზე საკითხის გაღვივებას და უთანხმოების გამოწვევას. „ამ კანონ-პროექტმა უნდა შეაერთოს უკიდურესი მემარცხენე უკიდურეს მემარჯვენესთანაო“-ო, სთქვა ლიგის თავმჯდომარემ.

შ.—დიანი.

## თათბირი შიმშილობის შესახებ

კავკასიის საიმპ. სასოფლო-სამეურნეო საზოგ. ქუთაისის განყოფილებას თათბირი ჰქონდა იმერეთში მოუსავლობის შესახებ, რომელსაც დაესწრო დეპ. ვარლამ გელოვანი. კრებამ მოისმინა დეპუტატის მოქმედების შედეგი ამ საკითხის შესახებ, დაპირებანი ცენტრალური მთავრობისა და შემდეგ შეუდგა დამშეულ კუთხეთათვის დახმარების მიწოდების გეგმის გამორკვევას. თათბირმა შეიმუშავა საანკეტო ფურცლების ფორმა, რომელიც დაეგზავნებათ ქუთაისის გუბერნიის წვრილი კრედიტის ამხანაგობათ (ასეთი ამხანაგობის რიცხვი ქუთ. გუბერნიაში 162). საკრედიტო ამხანაგობანი სოფელ-სოფელ შეკრებენ ცნობებს და ფუთობის მიხედვით გამოარკვევენ, სად რამდენი დახმარებაა საჭირო. 15 ნოემბერს ამ საზოგადოებათა წარმომადგენლები შეიკრიბებიან ქუთ. სამეურნეო საზოგადოებასთან ერთად, გადასინჯავენ შეგროვილ მასალას და მიაწოდებენ დეპ. გელოვანს პეტერბურგში, რომელიც მთავრობის მიერ გამოღებულ დახმარებას საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებითვე მიაწოდებს დამშეულ სოფლებს.

## წკიპურტები

იტალიის ქველ-მოქმედ ქალებს შორის, რომელნიც საქველმოქმედო წარმოდგენებსა და გასართობებს მართავენ ხოლმე, ახალი მოდა გავრცელდა. იმის მაგიერ, რომ ყვავილები, ხილი, შამპანიური და სხვა ჰყიდონ, ისინი ჰყიდიან... კოცნას! ვაჭრობა თურმე საუცხოოდ მიმდინარეობს. მაგალითად, ერთს დღეს გამართეს საქველ-მოქმედო საღამო, რომლის შემოსავალი უნდა მოხმარებოდა საავადმყოფოს აშენებას. ამ საქმისათვის საჭირო იყო 200 ათასი ლირი ეს თანხა სამი საათის განმავლობაში შეაგროვეს ნეაპოლის უმაღლეს საზოგადოების ლამაზებმა კოცნის საშუალებით; თითო კოცნა 100 ლირად ღირდა. თანხა რომ შესრულდა, აუქციონი შესწყდა, მაგრამ თურმე მსურველები რიგში კიდევ ბლომად იდგნენ...

მერე ასეთი მოვლენი განა მისაბაძი მაგალითია ჩვენი გადაგვარებული ქალებისათვის?!.. **ჩვენ.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** ძნელია მომაკვდავ ადამიანისათვის უკვდავების შესაფერი პატივისა და დიდების გამოთქმა. დ, რადგანაც ილიას სახელის საღამოების გამმართველნი ჩვეულებრივი მომაკვდავნი ვართ, ვერაოდეს ვერ ვახერხებთ ილიას საღამოების შესაფერად მოწყობას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ უარი ვთქვათ ამ საღამოების მოწყობაზე; ამ საღამოების მომწყობნი ვერ იჩენენ ვერც ორგანიზაციულ ნიჭს, ვერც უნარს და ვერც გემოვნებას. ასე ხდებოდა წინა წლებში; ესევე განმეორდა 27 ოქტომბერს ქართულ თეატრში. ეს დღე მთელი საქართველოსათვის ღირსსახსოვარია. მომავალში იგი გადაიქცევა მთელი ერის უდიდეს დღესასწაულად. ეს მაინც უნდა ეგრძნობინებია დამსწრეთათვის „საღამოს“. **გ. ნათაძის** ლექცია შინაარსიანი იყო და დამსწრეთ მოეწონათ. გვარიანად ჩაატარეს: ნ. ჯავახიშვილის ასულმა, იშხნელმა-არადელმა და გუნიამ „კაცია ადამიანი“. დანარჩენი ნომრები კი იმდენად უვარგისი იყო, რომ ხალხი შესრულების დროს გადიოდა დარბაზიდან. რასაკვირველია, უკანასკნელი გარემოება ჩვენი საზოგადოების უდისციპლინობასაც ამჟღავნებს, მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, ამ შემთხვევაში, მათ ვერ გავამტყუნებთ. ერთის სიტყვით, თუ კი შემდეგშიაც ასეთივე საღამო იქნება ილიას ხსოვნას აღსანიშნავად, უმჯობესია იგი სრულებით არ გაიმართოს!..

**მელანი.**

**სახალხო სახლი.** ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ მსახიობის ქ-ნ ტასო აბაშიძის ასულის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება კომედია „პედაგოგები“ დ „ჰკუისა მჭირს“—ცაგარლისა, სადაც გაშუქებულია ბრძოლა რუტინის წინააღმდეგ სასკოლო სწავლა-აღზრდის სფეროში. გამოყვანილია მთელი რიგი პედაგოგებისა, რომელთაც უნდა აღზარდონ მომავალი თაობა. მონაწილეობენ „წრის“ საუკეთესო ძალები

ადგილების ფასი 1 შაურიდან 10 შაურამდე.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**27—28 ოქტომბერი.**

**უცხოეთი.**

**მიუნხენი.** ლიუდოვიკო მესამემ ფიცი მიიღო კონსტიტუციისადმი ერთგულებისა.

**ლეიპციგი.** ჯაშუშობისთვის მიუსაჯეს: მორკოვსკის სამი წლის, ბრომბლევსკის—2½ წლ., ვოლმანს 2 წლ. კატორღა.

**ბერლინი.** კრუპის საქმის გამო, ბრანდეტს 4 თვის ციხე მიუსაჯა, მეორე ბრალდებული დააჯარიმეს 1200 მარკით.

**პარიზი.** კოკოვცევი წარუდგა პუანკარეს. კოკოვცევი ესაუბრა „მატენის“ და „ფიგაროს“ თანამშრომლებს და რუსეთის და საფრანგეთის მეგობრული კავშირი აღნიშნა. ამ კავშირმა დიდი ნაყოფი გამოიღოო. „ტანის“ თანამშრომელს კოკოვცევმა უთხრა: მე ოპტიმისტს მეძახიან და მომხდარმა ამბებმა ცხად ჰყვეს, რომ მე მართალი ვარ. ლონდონის კონფერენციამ ყველაფერი მოაწესრიგა. ალბანეთის საკითხი არაა დიდმნიშვნელოვანი და არც არავითარ საფრთხეს გვიქადის. საბერძნეთ-ოსმალეთის უთანხმოება უფრორე სერიოზულია. სერბიასავით, საბერძნეთი ავსტრია-უნგრეთის ბრძანებას არ დაემორჩილება. საზღვრების აღნიშნვის დროს მოსალოდნელია უთანხმოებანი. ოსმალეთს სურს ალბანეთის საკითხით ისარგებლოს. ბულგარეთი ყოველივე კონფლიქტს მოერიდება ეხლა. იტალიის აზრი ავსტრია-უნგრეთისას ეთანხმება. ჩვენი აზრი და იტალიისა სხვა და სხვაა. სომხეთის რეფორმები ჯერ კიდევ დაიგვიანებს. რუსეთის ფინანსები ჩინებულია და სესხის თაობაზე ლაპარაკი არც იქნება. სათათბიროს და მთავრობის ურთიერთობა ძლიერ გამწვავებულია, რაც არც ერთისთვის არ არის სახეირო, მოსალოდნელია, რომ მეოთხე სათათბირო მოკლე ხანში ნაყოფიერ მუშაობას შეუდგება. საფრანგეთის პრესა და ფინანსიური და პოლიტიკური წრეები ძლიერ კმაყოფილნი არიან კოკოვცევის სიტყვებით.

**ოსმალეთ-საბერძნეთის უთანხმოება.**

**ათინა.** ოსმალეთის დელეგატებმა აცნობეს საბერძნეთს, რომ პორტა არა თუ არ აპირებს დათმობას, არამედ სრულიად ახალ საკითხებს წამოაყენებსო. ოსმალეთი მოითხოვს აგრეთვე, რომ მეჩეთები საბერძნეთმა უზრუნველ-ჰყოს და ხარჯები გასწიოს მათ შესანახად.

**ლლოიდ-ჯორჯის სიტყვა.**

**ლონდონი.** მიდლსბოროში, ლლოიდ-ჯორჯმა ბინის საკითხზე ილაპარაკა: ქალაქის თვით-მართველობებს უნდა მიეცეთ უფლება, ადგილები შეიძინონ ქალაქში დ მთავრობის დახმარებით ბინები გააშენონ. გადასახადის სისტემა შეცვლილ უნდა იქმნას. მთავრობამ თავის თავზე უნდა მიიღოს ზოგიერთი გადასახადი, რომელიც ეხლა ხარჯის გამღებთ აქვთ დაკისრებული, კერძოდ ბავშვების აღზრდის ხარჯი. მთავრობა გამოიკვლევს ბინის პირობებს და მათ სანიტარულ მდგომარეობას აწონავს. საჭიროა ტრამვაის ლიანდაგის გაგრძელება, რათა მუშებს ქალაქის განაპირა ადგილებში ცხოვრება გაუადვილდეთ. ლლოიდ-ჯორჯმა სთქვა: უკეთესი არ არის [illegible] სახელმწიფოები ფულს წყალში ჰყრიდნენ, ვიდრე ადამიანის მოსასპობ იარაღს აშენებდნენ. არც ერთს სახელმწიფოს ცალ-ცალკე არ შეუძლიან სამხედრო ხარჯის შემცირება, მაგრამ ყველანი ერთად შესძლებდნენ ამას. ის ფული, რომელიც ეხლა სამხედრო შეიარაღებას ხმარდება, სოციალურ რეფორმების განხორციელებას რომ მოანდომონ, მაშინ შეიძლებოდა ახალი ინგლისის შექმნა.

**რუსეთი.**

**ბეჭდვითი სიტყვის კანონ-პროექტი სათათბიროს კომისიაში.**

**პეტერბურგი.** სათათბიროს კომისია შეუდგა ბეჭდ. სიტყვის კ.-პროექტის განხილვას. თავმჯდომარედ შულგინის მაგივრად პროგრესისტი ეფრემოვი აირჩიეს. კომისიის მომხსენებელის ბენიგსენის სიტყვით კანონ-პროექტმა უნდა უზრუნველჰყოს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება და ებრძოლოს ბეჭდვითი სიტყვით ბოროტ-მოქმედებას. სხვადასხვა ფრაქციების კანონმდებლობითი მოსაზრება ეგეთია: მემარჯვენენი დღევანდელ კანონს იცავენ, ხოლო აძლიერებენ სასჯელს; ნაციონალისტების პროექტი ავსტრია-უნგრეთის კანონ-მდებლობას ემყარება და გამომცემელის პასუხისმგებლობას აღიარებს. მაგრამ ნაციონალისტების პროექტით მთავრობა უხლავს გაზეთს ზარალს, თუ უმართლოდ იქმნა შეჩერებული. კადეტების პროექტი სრულს თავისუფლებას ქადაგებს და რეპრესიებს სრულიად აუქმებს. პროგრესისტები ოქტომბრისტების პროექტს ემხრობიან, ხოლო პატარა წიგნაკებსა და ბროშურებზე კანტროლს აწესებენ. ოქტომბრისტების პროექტი სტოვებს სავალდებულო დადგენილებას მხოლოდ სამხედრო წესების დროს. გაზეთების გამოცემის ნებართვის აღება საჭიროა იმ ქალაქებში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი ათი ათასს არ აღემატება, დარჩება აგრეთვე ნებადართვითი—წესი ქალაქ გარედ არსებულ ტიპოგრაფიებისთვის. ბენიგსენი შეეხო მთავრობის პროექტს და შეუძლებლად სცნო განსაკუთრებულ წესების დროს სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა, რადგან განსაკუთრებული წესები რუსეთში ყოველ დღიურ მოვლენად იქცა. შესაძლებლად აღიარა თითოეულ დეპუტატის სტენოგრაფიული სიტყვა დაიბეჭდოს. აგრეთვე სასურველად სცნო რედაქტორს საშუალო განათლება ჰქონდეს მიღებული და უნდა განისაზღვროს გაზეთის აღკვეცის ვადა და დაიწუნა მოსაზრება, რომელიც ბეჭდვითი სიტყვის ოპელატიის უფლებას უსპობს. კამათში მონაწილეობა მიიღეს ალექსეევმა, რომელმაც კანონ-პროექტი დაიწუნა, გრონსკიმ და გერასიმოვმა შესწორებანი შეიტანეს. მილიუკოვმა ცენზურის გაუქმება მოითხოვა, მაგრამ უარჰყვეს მისი წინადადება. მილიუკოვს წინააღუდგნენ: ალექსეევი, კაპნისტი, პურიშკევიჩი. სუხანოვმა, შრომის ჯგუფის წარმომადგენელმა კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვის უარჰყოფა მოითხოვა, რადგან კანონ-პროექტი სრულიად უვარგისიაო. ორი ხმის უმრავლესობით სუხანოვის წინადადება უარჰყვეს.

**პეტერბურგი.** რუსეთის სხვა და სხვა გუბერნიებში ყალბი ფულების გავრცელებისთვის სამართალში მისცეს 72 კაცი, საბრალმდებლო ოქმი 168 ტომს შეიცავს.

ლამე სახლს ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა 5 კაცი. მოკვდა ერთი ცეცხლის მქრობელი.

დაიჭირეს „ვეჩერნეე ვრემიას“ მე 595 ნომერი.

იალტაში უეცრად გარდაიცვალა სასახლის კომენდანტი დედიულინი.

დაიჭირეს მე 294 ნომერი გაზეთ: „რეჩისა“ რედაქტორს წერილისთვის: „ნაფიცნი მსაჯულნი“ სამართალში აძლევენ.

ინსპექტორი მაიერი, რომელიც მოსკოვ-ყაზანის გზაზე მომხდარ კატასტროფის გამოსაძიებლად იყო გაგზავნილი, იტყობინება, რომ ბოროტ-გამზრახველებს ლიანდაგი აეღოთ, გზა კარგი აღმოჩნდა. მოკლულია 14, მძიმედ დაჭრილა 9, მსუბუქად—34 კაცი.

**კერჩი** შავ ზღვაზე ყველგან დიდი ღელვაა.

**რეველი.** დაიწყეს ოთხი ნაღმოსნის შენება.

**პოლტავა.** პალატამ ყალბი დოკუმენტების გაცემისათვის გიმნაზიის მწერალს ბლონსკის 2 თვის ციხე გადაუწყვიტა.

---

ხი ამგვარ უქ·ითვნებობას. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მთელს ოსმალეთს მოედო აჯანყების ალი. და რაც ხანი გადის, მით უფრო მწვავდება საქმის ვითარება. იღვრება უდანაშაულოთა სისხლი და არეულია მთელი შინაური და გარეული ცხოვრება. დღეს ყველა კარგად ხედავს, რომ ევროპამ ოსმალეთის შესახებ იცვალა პოლიტიკა. მართალია კონსტიტუციის გამოცხადებიდანვე ევროპას თითქოს სურდა ავადმყოფ ადამიანის გამობრუნება და ამიტომაც იყო, რომ ახალი რეჟიმის ბევრი რამ ნაკლულევანება მხედველობაში არ მიუღია, მაგრამ ყველა ეს დაუფასებელი დარჩა და ევროპის ყურადღებაც ვერ დაიმსახურეს. თუმცა დღემდე ახალგაზდა თურქების შორის ერთი პირიც კი ვერ გამოჩნდა სახელმწიფოებრივი ნიჭითა და უნარით აღჭურვილი, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიან, რადგან ბრძანებლობის გემო გაუჯდათ ამ ვაჟბატონებს ძვალ-რბილში და ამიტომ მაინც აბდულ-ჰამიდის მიერ არჩეულს პოლიტიკის გზას დაადგნენ. კანონიერების ხანაში ოსმალეთი ჯერ კიდევ არაა შესული. ჩვენ არ გვახსოვს პარლამენტის ისეთი სხდომა, რომელიც რაიმე თვალსაჩინო კანონმდებლობით აღნიშნულიყოს ოსმალეთის ცხოვრებაში. მთელი მათი მოქმედება პარლამენტში იქითკენ იყო და არის მიმართული, რომ როგორმე პირში ბურთი ჩაჩარონ თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. ბოლოს ამ გარემოებამ და მრავალმა სხვა უსამართლობამ დაუკარგა „ერთობისა და პროგრესის“ პარტიას უმრავლესობა პარლამენტში და მიემხრო ოპოზიციას, ესე იგი „თანხმობისა და თავისუფლების“ პარტიას, რამაც დიდ საგონებელში ჩააგდო „ერთობისა და პროგრესის“ პარტია. იხელთეს დრო და წამოაყენებინეს საით-ფაშას პარლამენტში ძირითადი კანონის მე-35 მუხლის შეცვლის პროექტი, რომელმაც დიდი ალიაქოთი გამოიწვია პარლამენტსა და მთელს ოსმალეთში. ძირითადი კანონის მე-35 მუხლი ამბობს: სამინისტროსა და პარლამენტის შორის რომ უთანხმოება მოხდება, კვლავ სამინისტრო თავის წამოყენებულ პროექტის დაცვას დაადგება და პარლამენტისაგან მას ხელმეორედ გადაჭრილი უარი გამოეცხადება, მაშინ სამინისტრო პარლამენტის დადგენილებას უნდა დაემორჩილოს, ანდა უნდა გადადგეს. თუ გადაყენება მოხდა და ახალმა სამინისტრომ გადაყენებულ სამინისტროს წამოყენებული პროექტის დაცვა მოინდომა და პარლამენტმაც, მთელი სუსტი მხარეების აღნუსხვით, კვლავ უნდობლობა გამოუცხადა მას, მაშინ ძირითადი კანონის მე-7 მუხლის ძალით, მის უდიდებულესობას მეფეს შეუძლია სამი თვის განმავლობაში ახალი არჩევნების მოხდენით პარლამენტი დაშალოს. მაგრამ მე-7 მუხლში მოყვანილი მე-35 შენიშვნა განსაზღვრავს მეფის უფლებას: მას არ შეუძლია სახელმწიფო საბჭოს დაუკითხავად პარლამენტი დაშალოს. ამ მუხლების ამ გვარად არსებობა მეტად აფიქრებდა „ერთობისა და პროგრესის“ პარტიას. თუ გავიდოდა პარლამენტში ხსენებული პროექტი, ხომ კარგი და პატიოსანი: მთავრობის შემწეობით გარეკავდნენ პარლამენტსა და არჩევნები ისევ მათ სასარგებლოდ გათავდებოდა და მომავალ პარლამენტის პირველ სხდომაზედვე დიდის უმრავლესობით მაინც გაიტანდნენ თავისას. და თუ ვერ შესძლებდნენ პროექტის ორჯერ წამოყენებით პარლამენტში მის გაყვანას, მაშინ მეფე აიძულებდა სახელმწიფო საბჭოს, რომ თანხმობა გამოეცხადებინა პარლამენტის დასაშლელად. და ასეც მოახდინეს.

ძირითადი კანონების ძალით, პარლამენტისაგან უარ-ყოფილი რომელიმე პროექტი ორი თვის უადრეს არ შეიძლება კვლავ შეიტანონ პარლამენტში. ხსენებული პროექტის მუხლი, განუხილველი დარჩა, რადგან პარლამენტის წევრთა ორი მესამედი სხდომას არ დაესწრო. ეს ობსტრუქცია საით-ფაშამ უარყოფად მიიღო და გადადგა თანამდებობიდან, მაგრამ მეორე დღეს ისევ მას მიანდო კაბინეტის შედგენა. ახალმა კაბინეტმა კვლავ წამოაყენა განსახილველად მე-35 მუხლის პროექტი პარლამენტში, რომელიც კანონით ორი თვის შემდეგ უნდა წამოყენებულიყო. მაგრამ ამ კონსტიტუციონალური წესის შესრულება ხელს არ აძლევდათ მათ, ვინაიდან ოსმალეთის მართვა-გამგეობა ხელთ ეცლებოდათ და გადადიოდა „თანხმობისა და თავისუფლების“ პარტიის ხელში, რაც, ახალგაზდა თურქთა კერძო და პირადი სარგებლობის გამანადგურებელი შეიქნებოდა. ამის ასაცდენად დათხოვნილ იქნა პარლამენტი და ლელოც გაიტანეს. გაიმარჯვა „ერთობისა და პროგრესის“ პარტიამ და დამარცხდა „თანხმობისა დ თავისუფლების“ პარტია. განახლდა თუ არა საით-ფაშის სამინისტრო, მაშინვე მოსდევა მუხრუჭი პრესას და შეავიწროვა კრებების კანონები: მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებში, და ისიც პოლიციის ზედამხედველობით შეუძლიათ კრებების მოხდენა. გაზეთის გამოსაცემად ასეთი წესი შემოიღეს: თუ სატახტო ქალაქია—500 ოქრო (43.000 მანეთამდე) გუბერნიებში კი—100 ოქრო (8600 მ.) უნდა დაუდოთ საწინდრად. მაგრამ ყველაზე უფრო საოცარი ის გარემოებაა, რომ მთავრობა საჯაროდ გამოდის დ „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის სასარგებლოდ თვითონ პროპაგანდას სწევს!... ამ გვარი საქციელი რომ პატარა მოხელეებმა ჩაიდინონ, კიდევ არაფერი, მაგრამ ღენერალ-გუბერნატორები რომ სოფელ-სოფელ დაჭ-ხწალებდნენ მთავრობის პარტიის სასარგებლოდ აგიტაციის გასაწევად და არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, ამგვარ შემთხვევას კონსტიტუციონურ ქვეყანაში არსად ადგილი არ ჰქონია.

რას უნდა მივაწეროთ ასეთი მოვლენა, თუ არ იმას, რომ „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის კომიტეტებმა დაიჭირეს კონსტიტუციონური მთავრობის ადგილი და თავის სურვილისამებრ ატრიალებენ კანონიერებას. ასეთმა არევ-დარევამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ, გარდა „დაშნაკცუთუნის“ და „სიონისტებისა“, ყველა დანარჩენი ეროვნული, თუ სოციალისტური ჯგუფი შეუერთდა „თანხმობისა დ თავისუფლების“ პარტიას დ განაგრძობენ მუშაობას ახლად ძოვლენილ ტირანიის უღლის გადასაგდებად. ჯერ-ჯერობით მცირეა მათი შრომის ძომავალი, მაგრამ ევროპაში მაინც გავლენას მოახდენენ და დაარწმუნებენ, რომ ნამდვილი კონსტიტუციონალისტებიც არიან ოსმალეთში. ეხლა ვიკითხოთ: რა განსხვავებაა ოსმალეთის პარლამენტისა და რუსეთის სათათბიროს შორის? რითი განირჩევა ოსმალეთის „ერთობის და პროგრესის პარტია“ „ჭეშმარიტ რუსთა“ პარტიისაგან? ასეთი შედარებისათვის ნურას უკაცრავად, მაგრამ მე აქ უპირატესობა უნდა მივსცე, „ჭეშმარიტ რუსთა“ პარტიას, რადგან იგი გულახდილად და აშკარად მოქმედებს, როგორც პროგრამით, ისე საქმითაც მომხრეა მონარქიისა. მაშასადამე, როგორც ვსთქვით, „ჭეშმარიტ რუსთა“ პარტია პირდაპირ გამოდის და იცავს იმ აზრს, რომ სახელმწიფოებრივი მმართველობა მონარქიულ ნიადაგზე უნდა იყოს დაყენებულიო, ახალგაზრდა თურქთა პარტია კი, გამოდის თავისი პროგრამით, როგორც პროგრესიული ჯგუფი და საქმით-კი აბდულ-ჰამიდს არ ჩაუდენია იმდენი უსამართლობა, რაც მათ მოახდინეს. მათი პროგრამა სხვაა, საქმე-კი სულ სხვა.

**სამკვიდრებელს მოკლებული.**

სტამბოლი.

**ნოვოჩერკასკი.** შავი ჭირით ავად არავინ გამხდარა. ერთი ავადმყოფი ქალი გარდაიცვალა.

**კიევი.** დასრულდა ორთქლის ქვაბების ზედამხედველთა კრება. შემდეგი კრება ოდესაში იქნება 1914 წელს.

**კრასნოიარსკი.** განიხილეს ერობის ხარჯთ-აღრიცხვა 1915—1918 წლისა. თათბირმა სასურველად სცნო სკოლების და ბიბლიოთეკების გახსნა.

## ბეილისის საქმე.

ამ საქმეში, თუ რამეა სარწმუნო, ამბობს **მაკლაკოვი**, ეს ჩებერიაკის მონაწილეობაა მკვლელობაში. რისთვის წავიდა იუშჩინსკი სლობოდკიდან ლუკიანოვკაზე? იუშჩინსკი ჩებერიაკთან იყო. ჩებერიაკი არა თუ მალავს სიმართლეს, სტყუის თანაც. ჟენიას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ დედამ შეაშინა და ბავშიც დაჩუმდა. ჟენია და ანდრია ნახეს შახოვსკისთან ერთად. რისთვის არ ამბობს ამას? მართალი რომ იყვეს, იტყოდა: „იყო ჩემთან მაგრამ არ ვიცი, ვინ მოკლა" ან შემდგომ, როცა ეჭვი მიიტანეს მასზე, მაშინ რატომ არ სთქვა? აქ ითქვა, რომ ჟენიას კონფეტებსა და „ხაჭაპურებს" აჭმევდნენ და მოწამლესო". კრასოვსკი ჩებერიაკს აბრალის მოწამლვას, ჩებერიაკი პირიქით—კრასოვსკის. მე არც ერთს ვუჯერი, არც მეორეს: დედას უყვარდა ბავშვები და არ მოწამლავდა, ბავშვი რაღაცას ბოდავდა და წამოიყვირა: „ანდრია, ნუ ჰკივი?" როგორ უნდა მოქცეულიყო ჩებერიაკი. სთხოვა მომაკვდავ ჟენიას აგენტებისთვის ეთქვა, რომ ჩებერიაკი უდანაშაულოა. ჟენიამ უპასუხა: „დედილო, გაჩუმდი, მე ვერ შემიძლიან ამის თაობაზე ლაპარაკი". მე რომ წარმოვიდგენ, თუ რას განიცდიდა ამ დროს ჩებერიაკი, აი ნამდვილი დასჯა ანდრიას გულისთვის, თუ ესეთი შურისძიება ვისმე უნდა, აი მაშინ იყო. რატომ ჩებერიაკს არ მოჰკიდეს ხელი? საბუთები ცოტაა, მორევი დაფარულია, მაგრამ ძაფმა თავი გამოჰყო. წაავლეთ ხელი ძაფს. ეს იშვიათი შეცდომაა, ამ საქმეში რომ ჩაიდინეს, ძაფს ხელი გაუშვეს. მაგრამ ჩებერიაკი ბეილისის წინააღმდეგ აჩვენებს. დედისაგან დარიგებული ლუდა, ყველაფერს ისე აჩვენებდა, როგორც დედას უნდოდა. ყოველი ცდა ამის შემდეგ ბეილისის გასამტყუნებლად იყო მიმართული; საცვლებზე ნაპოვი ბალანი არ შეადარეს სიგნაევსკის და რუდზინსკის თმას, არ გამოიკვლიეს ჩებერიაკის ბინის თიხა. როგორ უნდა გავიგოთ, ჩებერიაკის ესეთი პრივილეგიური მდგომარეობა? იქნებ ძლიერი საბუთები იყო ბეილისის წინააღმდეგ? ორი დღის განმავლობაში აქ უკვე ითქვა ყველაფერი, რის თქმაც კი შეიძლებოდა ბეილისის წინააღმდეგ. სთქვეს: ბავშები ყინულზე საცურაოდ იყვნენ, ცადიკმა ანდრია დაიჭირა, ბეილისმა წაათრია და დაჰკლა. რატომ ამასვე არ ამბობდნენ ლუკიანოვკაში? მე გეტყვით, არაფერი ამის მსგავსი იქ არ მომხდარა. აქ აგურების გადამზიდველების მოსყიდვაზედაც ილაპარაკეს. არა მჯერა: რუსმა ქრისტიანი ბავშის დაკვლა იცოდეს და ფულის გულისთვის ეს დაჰფაროს. რომ მართლა სცოდნოდათ, რომ ბეილისი მკვლელი, ოცი ჯარის კაცი ვერ გამოართმევდა მათ ხელიდან ბეილისს. მაკლაკოვი ამბობს: საქმეში, რომლისკენაც მთელი ქვეყნიერობის ყურადღებაა მიპყრობილი, ისეთი დამამტკიცებელი საბუთებია, როგორც ნეოფიტოს ნაწერები და პატიოსანი მოწმის ჩებერიაკის ჩვენება... ურიების ძალმომრეობაზე ბევრს ლაპარაკობენ. არა—და ასრულებს მაკლაკოვი—ბეილისის ზურგს უკან რაღაც სხვა სწარმოებს და სთხოვს მსაჯულთ, ვნებათა ღელვას ყური არ ათხოვონ. თუ სახელმწიფოს გამგენი დასჯიდნენ ბეილისს, მხოლოდ იმიტომ, რომ არავის ეთქვა, რომ მათ გადაუხვიეს მიზანს, ეს მართლმსაჯულების სიკვდილი იქნებოდა. დიე, შეცდეს ბრალმდებელი, მაგრამ ნაფიცნი მსაჯულნი შეცდომის გასწორებას შესძლებენ.

### გრუზენბერგის სიტყვა.

რიტუალური მკვლელობა და ადამიანის სისხლის ხმარება, საშინელი ბრალდებაა,—ამბობს გრუზენბერგი. ძველადვე დასამარებული ახლად წამოაგდება და შხამავს ჰაერს. ილაპარაკებთ ებრაელთა ნაწილზე, თუ სექტებზე—სულ ერთია, ყველაფერი ეგ სარწმუნოებას შეეხება. ეგაა რომ ადამიანებს ულმობელ მტრად ჰხდის. ებრაელები რუსულ სკოლებში სწავლობენ, რუსებს შორის სცხოვრობენ და რუსებთან მეგობრობენ. ითქვა სიტყვა: „სისხლის ხმარება" და ყველაფერი ეს დაიღუპა. გრუზენბერგი ყველას საყურადღებოდ აცხადებს, დარწმუნებული რომ იყვეს, რომ ურიების სარწმუნოება ადამიანის სისხლის ხმარებას ქადაგებს, მაშინ ერთ წუთსაც არ დარჩებოდა ამ სარწმუნოების მალიარებლად. გრუზენბერგი დაემყარება ისტორიას და ამბობს, ბრალდება ყოვლად უსაფუძვლოაო. ბეილისი მსხვერპლია ყველა ფრისა: რუსეთში პოლიციის ძიება უხეიროა და სასამართლოს გამოძიებაც უვარგისი და ამიტომ ბეილისმა უნდა აგოს პასუხი. საშინელი, გულის შემზარავი ამბავი მოხდა: მხეცურად მოჰკლეს ბავშვი. დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს და პასუხი უნდა აგოს ბეილისმა. ბრალმდებელნი მოითხოვენ, დედას მსხვერპლი მივუტანოთ და მით ვანუგეშოთ. დედას ნუგეში მართლა ესაჭიროება და არა მსხვერპლის შეწირვა. დედას არა უთქვამს რა არც ბეილისისა და არც ებრაელების თაობაზე მას შვილი ეცოდება, მაგრამ არც მართალი კაცის დაღუპვა სურს. იუშჩინსკის მშობლების უბედურებასთან ერთად საჭიროა ბეილისის ოჯახის გაჭირვებაც მოვიგონოთ. ოჯახს მარჩენალი დაეკარგა. ბრალდება ძლიერ უღლეურია, რადგან სამღოცველო რომ ქრისტიანების სისხლისთვის აეგოთ, დამნაშავის სკამზე აღმშენებელნი უნდა ისხდნენ, რომელთათვის თითქოს სისხლი იყო საჭირო. შმაკოვისა და ბრალმდებლის სიტყვებში გრუზენბერგი წინააღდეგობას ხედავს: ზოგჯერ სრულიად მართლად სთვლიან ჩებერიაკს და ზოგჯერაც წილს უდებენ დანაშაულშიო. გრუზენბერგის აზრით ყველა ფაქტებს ჩებერიაკის სახლისკენ მივყავართ. დიდ მნიშვნელობას აძლევს ბალიშის პირის ამონაჭრეს და ანდრიას პალტოს, რომელიც მან 12 მარტს ჩებერიაკის ბინაზე დასტოვა. რატომ არ უჩვენა ეს პალტო ჩებერიაკმა გამომძიებელს? შემდეგ აღნიშნავს, რომ ზამისლოვსკი და ბრალმდებელი მკვლელობის ადგილის თაობაზე სხვადასხვა აზრისანი არიან და ვერ შეთანხმდნენ ამ საკითხში. 12 მარტს აგურების ქარხანაში მუშაობა არ შეწყვეტილა. გრუზენბერგი აღნიშნავს, რომ დამცველებს არა აქვთ არც სახსარი და არც უფლება დამნაშავის აღმოსაჩენად. თუ როგორ ნაყოფს მოიტანს კერძო გამოძიება—ეს ბრაზულის მაგალითმა დაგვიმტკიცა. გრუზენბერგი შემდეგ სურათს ხატავს მკვლელობისას: 9 მარტს რამდენიმე ქურდი, ჩებერიაკის ხშირი სტუმრები, დაიჭირეს აბანოში. 10 მარტს ჩებერიაკისას ჩხრეკაა. 10 მარტს ჟენიამ უამბო ანდრიას მუქარის თაობაზე. 12 მარტს ანდრია სასეირნოდ წავიდა და პალტო ჩებერიაკს დაუტოვა. დაბრუნებისას მას ჩებერიაკის ბინაზე დახვდებოდნენ: ლატიშევი, რუდზინსკი და სიგნაევსკი, რომელთაც უკვე იცოდნენ ანდრიას დამუქრების ამბავი. ერთი მათგანი თავში დაარტყამს სადგისს და დაუწყებს ცემას. ბავშვი ეცემა, მაშინ გახდიან ზედა საცმელს და დაუწყებენ ცემას, შემდეგ თავს მიაყენებენ. მსხვერპლი გაინძრევა—კვლავ დაუწყებენ ცემას. დაღამდება. ბავშვი ფარდულში და სარდაფში გადააქვთ. აქედან ღამე გვამი მღვიმეში მოიტანეს. მკვლელობა წინდაწინ განზრახული რომ ყოფილიყო, ცულსა, ან ჩაქუჩს დაამზადებდნენ მოსაკლავად. გრუზენბერგი აღნიშნავს, რომ ჩებერიაკის ბინაზე გაჩხრეკის დროს უპოვეს სხვა და სხვა არა მჩხვლეტავი იარაღი, საღამოს ნაჩქარევად შეხვიეს ანდრიას რვეულები და წიგნები, აგრეთვე დაჩხვლეტილი ფურცლები, რომლებიც შემდეგ მღვიმესთან იპოვეს. გრუზენბერგის აზრით დიდ მნიშვნელოვანია სისხლიანი ბალიშის პირის ნაგლეჯი, რომელიც ბავშვს უპოვეს და მამაკაცის თესლი, რომლის მაგვარი ჩებერიაკის ბინის შპალერზე აღმოჩნდა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ეს საქმე მწვალებელის ხელს არ მოუმოქმედნია, რადგან ებრაელები თახთახს დიდი სისუფთავით ამზადებენ ხოლმე, გვამის პოვნის შემდეგ ჩებერიაკი შეშინდა. ღვიმესთან ეჭვი მინაცვალსა და დედაზე მიიტანა, შემდეგ დაარიგებს ჟენიას, თითქოს მისთვის ნეჟინსკის ეთქვას, რომ 12 მარტს ურიებმა დაჰკლეს იუშჩინსკი. ჩებერიაკის გულისთვის ნეჟინსკიც საკმარისად გაიტანჯა. დიდ ხანს დაჰყავდა პოლიციას ჩებერიაკს ამ მოჭორილ ამბის გამოსაძიებლად, მაგრამ როცა დარწმუნდა ჭორის სიმოკლეში, მოიგონა ხარკოვში მგზავრობა, შეჰქმნა ზღაპრები მიფლეს თაობაზე. გრუზენბერგი აღიარებს კრასოვსკის მაძებრობის ნიჭს და სჯერა მისი ძიებისა. ჯერ არ ყოფილა მაგალითი, რომ საქმე სრულიად მოესპოთ, როცა დანაშაულში გამოტყდება ხოლმე ვინმე. რუდზინსკი გამოტყდა 12 მარტის ქურდობაში და მის შესახებ საქმე მოსპეს. ექსპერტიზის თაობაზე გრუზენბერგი აცხადებს, რომ დოსტაქარს ჭრილობებისა მეტი გაეგება, ვიდრე სასამართლოს ექსპერტს. პავლოვმა აღნიშნა, რომ ჭრილობა საწვალებლად არ იყო მიცემული. სიკორსკის მტკიცებას რიტუალურ მკვლელობის თაობაზე არავითარი კავშირი აქვს მედიცინასთან. გვეუბნებიან, რას სწუხართ ბეილისის გამო. საქმე ჩვენს სარწმუნოებასა და წიგნებს ეხება. ერთის დამცირება ყველასი დამცირებაა. მ-XVII საუკუნიდან ბეილისის მაგვარი პროცესი არა ყოფილა. აქ სამი დღეა ებრაელების სარწმუნოებას ასამართლებენ, ამოგლეჯდნენ ხოლმე დაბადებიდან ადგილებს, რომელიც ერთნაირად ძვირფასია ქრისტიანებისა და ებრაელებისთვის. ებრაელების სარწმუნოებას დაცვა არ ესაჭიროება რა საამაყო და სასახელოა, რომ მართლმადიდებელ მეცნიერთა და მღვდელთა შორის არც ერთი აღმოჩნდა სისხლის ხმარების ბრალდებას რომ აღიარებდეს და მხარს უჭერდეს. დიე, იცოდნენ ებრაელებმა და მათმა შვილებმა, რომ ამ საქმეში თუნდაც ერთს წუთს იყო ბედნიერება (თავმჯდომარე შენიშნავს, რომ აქ ებრაელების სარწმუნოებას და წიგნებს არავინ ასამართლებდა, არამედ სისხლის ხმარების თაობაზე ლაპარაკობდნენ).

**გრუზენბერგი:** მაშ, ჩვენ სამი დღეა თავს ვიქცევდით, როდესაც ტყუილად ვჩხრიკეთ ებრაელთა სამღვთო წერილები. პრანაიტისი აქ, სასამართლოში, სადაც ალექსანდრე მეორის კანონები მოქმედებს, ძალით გამოტეხის სარგებლობას ამტკიცებდა. ვოლკინის ნალაპარაკი შახოვსკისამ რომ გვიამბო, თითქო ბეილისს დაეჭიროს იუშჩინსკი და წაეთრიოს, არ გამოდგა მართალი. ეხლა ვოლკინისამ სთქვა, მთვრალი ვიყავი, [illegible] და არ ვიცი თუ რა ვთქვი. ბეილისი თავის წერილში, რომელიც პოლიციას ჩაუვარდა ხელში, თავის ცოლს სწერს უდანაშაულოდ ვიტანჯვიო. ბეილისმა ხომ არ იცოდა, რომ წერილი პოლიციის ხელში ჩავარდებოდა ხელში და განგებ თავს უდანაშაულოდ ეხლაპარაკნა. გალკინის სიტყვები, თითქოს იუშჩინსკის სლობოდკაზე 1910 წელს ქერა კაცი დასდევდა, არ გამართლდა, არავის ამის თაობაზე ხმა არ ამოუღია. არც ერთი საბუთი მოიპოვება, ბეილისს რომ ამტყუნებდეს, მაგრამ მართალ კაცს 20 წლის კატორღა მოელის. შეძლებისა, ჯანისა, ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით შევეცადენით, ეს ჯანღი გაგვეფანტა, ამბობს გრუზენბერგი,. და დავრწმუნდით, რომ ბეილისი სრულიად უდანაშაულოა. ბრალმდებელმა რუსებს გამბედაობა დაუწუნა, მაგრამ განა დიდი გამბედაობაა საჭირო ამა თუ იმ განაჩენის გამოსატანად? დანაშავეა—დასაჯეთ, არა და—გაამართლებენ. მაგრამ თუ თქვენ როგორმე გაამტყუნებთ ბეილისს, იგი კატორღაში წავა სიტყვებით, რომელიც აქ ერთმა ექსპერტთაგანმა წარმოსთქვა: მე მრწამს ერთი ღმერთი. მაგრამ აქ, გონებისა, სინდისისა და მოწყალების ფრთეთა ქვეშ არ უნდა ექმნეს ადგილი ასეთს განაჩენს.

ზამისლოვსკი მოითხოვს, ოქმში იქმნას შეტანილი შემდეგი: როცა თავმჯდომარემ ვექილს აღუკრძალა პობედონოსცევის სიტყვების გადმოცემა, მან განაცხადა: „მაშ, ჩემი სიტყვებით გადმოგცემთო".

### ზარუდნის სიტყვა.

ზარუდნი სთხოვს ნაფიც მსაჯულთ უკუაგდონ წინასწარი აზრი, რომლის წარმოშობას ხელს უწყობდა საბრალმდებლო ოქმი: პირველია—რადგან ბრალდებული ებრაელია, ყველა ებრაელის ნაკლულევანების მატარებელია, რომელთა შესახებაც აქ ბრალმდებელმა ილაპარაკა. ჩვენ—ხაზს უსვამს ზარუდნი—არა ებრაელებს, არამედ ბეილისს ვიცავთ იმ ღრმა რწმენის გამო, რომ არა მარტო ბეილისია უდანაშაულო, არამედ მაგვარი დანაშაულობა არც არსებობს. სხვა ყველაფერს, რასაც ბრალმდებელი ამბობს, საერთაშორისო და ეროვნებათა ბრძოლის საკითხს შეეხება, ხოლო სასამართლო ტაძარია: მტერსაც რომ ასამართლებდნენ, სიმართლის დაცვას უნდა ეცადოთ. მეორე, რასაც შეეძლო წინასწარი გადაწყვეტილება შეემზადებინა—ებრაელთა დარბევის მუქარაა, განსაკუთრებით შმაკოვის განცხადება, რომ შესაძლებელია და მოსალოდნელია ებრაელები დაარბიონ, თუ ბეილისი გაამართლესო. ამას ვერ ვიხელმძღვანელებთ მსჯავრის დადებისას: ვითა კლდე გაშმაგებულ ზღვაში, სასამართლო მაღლა უნდა იდგეს და ღელვისაგან შეურყეველმა, მსჯავრი უნდა დასდვას. ესამე მდგომარეობა დასკვნაა ყველა იმისა, რაც აქ ითქვა ებრაელების სარწმუნოების თაობაზე. თუ ბრალმდებელმა აღიარა, რომ მთელს სარწმუნოებას არ ასამართლებენ, არც ბეილისს აბრალიან სექტის წევრობას, არამედ გარეწართა მოქმედებას ეხებიან, მაშ რა ადგილი აქვს აქ ებრაელთა სამღვთო წერილების ჩხრეკა ძიებას. გარნა გარეწარისთვის კანონი არსებობს? ბრალმდებლის თეორიის აზრია დამტკიცოს, რომ დაბადებაში წითელი ზოლით არის აღნიშნული ებრაელების მიერ მსხვერპლის შეწირვაო. ზარუდნი ამტკიცებს, რომ დაბადებაში არსად არის ნათქვამი, რომ ებრაელები ადამიანთა მსხვერპლს შესწირავდნენო. ხოლო ბევრი ათასი წლით ქრისტეს დაბადებამდე კერპთთაყვანისმცემელთა გავლენით შესწირავდნენ კერპს თავიანთ ბავშვებს. ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ყველა ხალხში არსებობდა ძველად. კიევში, ქრისტეს დაბადებისაგან რამდენიმე ასი წლის შემდეგ, პერუნს ადამიანებს მსხვერპლად სწირავდნენ, ხოლო ებრაელებში კი [illegible] შეწირვა მოისპო ტაძრის დანგრევის დროიდან. ბრალმდებელი ამტკიცებდა, რომ ათასი წლით გვიან გაჩნდა კაბალა, რომელიც მკვლელობას არ უარჰყოფს და ამ დროიდან დაიწყო რიტუალური მკვლელობის პროცესებიო, მაგრამ როგორ შეუძლიათ ნაფიც მსაჯულთ ისტორიულ ცნობების განხილვას მიჰყონ ხელი, როდესაც თვით ბრალმდებელი სცდება, როცა პირველ რიტუალურ პროცესს პირველ ჯვაროსნულ ომის დროისად აღიარებს, როდესაც პირველი ომი ჯვაროსანთა 1099 წელს იყო, ხოლო კაბალა 1300 წელს გაჩნდა. ექსპერტიზის თაობაზე ზარუდნი ამბობს: ერთი მხრით არის კსენძი პრანაიტისი, რომელმაც თავის მეცნიერულ შრომის თაობაზე ვერა შეგვატყობინა რა, შენიშვნები არ მოიტანა და დასასრულ კითხვების პასუხის მიცემაზე უარი სთქვა, ხოლო მეორე მხრით განთქმული აკადემიკოსი კოკოვცოვი, პროფესორები: ტროიცკი და ტიხომიროვი და აღარ მეკითხება, თუ ნაფიცნი მსაჯულნი ვის დაუჯერებენ. შემდეგ ზარუდნი უპასუხებს ზამისლოვსკისა და შმაკოვს და აგრე დაასრულებს: უფალმა დაიფაროს მარჯვენა თქვენი რათა უდანაშაულო მსხვერპლი არ შესწიროთ სიბნელესა, ცრუმორწმუნოებასა და უვიცობასა.

გაგრძელება ხვალ.

რედაქტორი **ა. ჭუმბაძე.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**


**ვარდის ფერი ბროლის საპონი.**

ვინც რეგულიარულად ხმარობს ამ საპონს, მშვენიერი ფერი ეძლევა, კანი ხავერდისებრ რბილი და ჩვილი ხდება

**ნამდვილი მხოლოდ მე— „№ 4711".**




ნაჭერი 25 კ.

ერთად-ერთი ფაბრიკა: **ფერდ. მიულჰენსისა.**

პარფიუმერია კელნი, რიგა.

Метцль. 357961.

1506

# ვკისრულობთ:

**თარგმნას** სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

**კორექტურას** ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

**შესწორებას** დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

**გამოცემას** წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, „**შრომის**" სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონისი. ტელეფ. 9-25.

**ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.**

**ა. კიკვიძე** აძლევს **სიწყნარის მოწმობისათვის, სამხედრო სასწავლებლებში**, 1 ხარისხის ვოლნოოპრედელიაიუშჩის გამოცდისთვის და საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისათვის. შეთანხმების მიხედვით **პირობას ვაძლევ გამოცდის საჭიროებელ შედეგების შესახებ.** ნახვა შეიძლება: დილით 12—1 საათამდე და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახ. № 142 (პიროგოვის ქუჩის კუთხე). 1540

## უფასო სამკურნალო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანიშვილი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **დ. მ. თათეოსიანი** (ვილიამინოვის 4, ტელეფ. 680).

5—7 [illegible] № 27).

7—8 [illegible] № 23).

10, 11, 12 [illegible] № 160, ტ. № 936).

# ამხანაგსარდიანის

## პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606" და „914"**

**11—12 ს. შ ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ავახანოვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საზებით, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღნიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საზავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საზებიო და ქალების ავადმყ.

**ა. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავახარდიანი.** 1004

**მუხრანის ქუჩაზე, სადაც წინად „კავკავ. ს" ნომრები იყო, გაიღო**

**სოფხელი ნომრები**

[illegible] 1552

გამოსულია და იყიდება

**ი. გედევანიშვილის** პიესა

# „გ ა მ ც ე მ ი"

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მთელს დედა-მიწაზე საუკეთესო

# გრამო- ფონებს

# „ИАКОР"-ს

ჰქონდის სატაბრიკო მაღაზია გრამოფონებისა

# გ. ს. დავიდოვისა.

ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა შესაძლებ.

გოლოვინის პროსპ., № 6, [illegible]

1531

# ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:**

ПРОФ. Н. МАРРЪ:

Житье св. Григорія Хандзійскаго —3 მ.
Древнегрузинскіе одописцы — —3 მ, —
Вступительныя и заключительныя строфы Витязя въ Барсовой кожѣ 1 მ. 25 კ.
Антіохъ Стратигъ, плѣненіе Іерусалима персами въ 614 г. — — —2 მ.
Критика и мелкія статьи кн. V —75 კ.
Физіологъ. Армяно-грузинскій изводъ — — — —2 მ.
Основныя таблицы къ грамматикѣ древне-грузин. языка — — —5 მ.
Кавказ. памятн. духов культуры 20 კ.
Исторія грузіи (культ. истор. набросокъ) — — — —25 კ.
Изъ поѣздокъ въ Сванію — — —30 კ.
Изъ лингвистическ. поѣздки въ Абхазію — — — —50 კ.
Къ вопросу о задачахъ армяно-вѣд. 5 კ.

Ефремъ Сиринъ. О днях празд рождества, объ основ. перв церквей въ Іерусалимѣ —75 კ.
Іос. Аримаѳейскій. Сказаніе о построеніи первой церкви въ г. Лиддѣ (груз. текстъ) — — —1 მ.
Ипполитъ, толкованіе пѣсни пѣсней груз. текстъ X вѣки — — —2 მ.

**ახლად მიღებული წიგნები:**

ჩვენი ახალ თაობის უკულმართი ცხოვრების ძირითადი მიზეზები ნ. თავდგირიძისა — — —20 კ.
ბაში-აჩუკი აკაკისა — — —30 კ.
როგორ უნდა დაარსდეს და სწარმოებდეს წვრილი კრედიტის დაწესებულება ა. კახელიძისა— — —10 კ.
ქართული სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე) ალ. ხახანაშვილისა — — — —1 მ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1913

მიველით ცოცხალ-მატარებლით

პეტერბურგიდან

თევზის მრეწველნი

# ძმ. მეგვენოვები.

პუშკინის ქუჩა, ხაცვ. სახ. № 9. ტელეფონი № 712.

ამურის **წითელი ხიზილალა** (კეტოვი), **სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნია და სხვ.**

**ახლავე იყიდება მაღაზიაში**

# ხიზილალა

**კოლოფით დ ხელი ხოკ.** 1500